ქალების სოლიდარობის წრეები საქართველოში

Norwegian Ministry of Foreign Affairs

UN WOMEN

გაეროს ქალთა ორგანიზაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სააგენტოა, რომელიც გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ქალთა გაძლიერების საკითხებზე მუშაობს. ორგანიზაციის დაარსების მიზანი მთელი მსოფლიოს მასშტაბით ქალებისა და გოგოების ინტერესების დაცვა და მათი საჭიროებების დაკმაყოფილებაა.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია მხარს უჭერს გაეროს წევრ სახელმწიფოებს გენდერული თანასწორობის მიღწევის საყოველთაო სტანდარტების შემუშავებაში, თანამშრომლობს მთავრობებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან ამ სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის, პოლიტიკის, პროგრამებისა და მომსახურების შექმნის პროცესში. გაეროს ქალთა ორგანიზაცია ხელს უწყობს ცხოვრების ყველა სფეროში ქალთა თანაბარ მონაწილეობას და განსაკუთრებულ აქცენტს ხუთ ძირითად მიმართულებაზე აკეთებს: საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა ლიდერობისა და მონაწილეობის გაზრდაზე, ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრაზე, სამშვიდობო და უსაფრთხოების პროცესების ყველა ასპექტში ქალთა მონაწილეობის უზრუნველყოფაზე, ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებასა და გენდერული თანასწორობის პრინციპების, როგორც მნიშვნელოვანი პრიორიტეტის, ინტეგრირებაზე ქვეყნის განვითარების დაგეგმვისა და ბიუჯეტის განსაზღვრის პროცესებში. ამასთან, გაეროს ქალთა ორგანიზაცია კოორდინირებას უწევს და ხელს უწყობს გაეროს სისტემაში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ საქმიანობას.

პუბლიკაცია მომზადდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის „ერთობლივი ძალისხმევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის საქართველოში" ფარგლებში, ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით.

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორ(ებ)ისეულია და შესაძლოა, არ გამოხატავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, რომელიმე მისი წევრი სააგენტოს ან ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსაზრებებს.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია არ უწევს რეკლამირებას ამ გამოცემაში მოხსენიებულ ბრენდებს, პროდუქტებსა თუ მომსახურებებს.

ავტორი: ნინო ნატროშვილი (გაეროს ქალთა ორგანიზაცია)
ფოტოგრაფი: თაკო რობაქიძე
დიზაინი: მაკა ნათაძე
დაბეჭდილია: სს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში
© 2020 UN Women Georgia All rights reserved

ქალების სოლიდარობის წრეები საქართველოში

ქალების შესაძლებლობები სტერეოტიპული წარმოდგენებით, წინააღმდეგობებითა და ბარიერებითაა შემოსაზღვრული. ისინი საკუთარი პოტენციალის ოჯახებს მიღმა რეალიზებას პრაქტიკულად ვერ ახერხებენ და ხშირად სიღარიბეში ცხოვრობენ.

ნაპრალის შემცირება მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია. 2018 წლიდან გაეროს ქალთა ორგანიზაცია პარტნიორებთან — საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან, ფონდ „ტასოსა“ და ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან ერთად, ნორვეგიის მთავრობის დაფინანსებით, ქალთა მეწარმეობის გაძლიერებაზე მუშაობს. ამ საქმიანობის ფაგრლებში, ქალები მთელი საქართველოდან ჩართულები არიან ღონისძიებებში, რომლებიც მათ ცოდნას, უნარებსა და ეკონომიკურ რესურსებზე წვდომას აძლიერებს. ინიციატივის დახმარებით, მონაწილეებისა თუ მათი ოჯახების ცხოვრება უკეთესობისკენ უკვე შეიცვალა.

პუბლიკაცია იმ 27 ქალი მეწარმის ისტორიებს აერთიანებს, რომელთა საქმიანობაც პროექტის დახმარებით, 2018-2019 წლებში განვითარდა. წარმატების ინდივიდუალურ თავგადასავლებთან ერთად, ეს ამბები ერთმანეთის მხარდაჭერაზე, გამოცდილების გაზიარებასა და ქალებს შორის სოლიდარობის წრეების შექმნაზე მოგითხრობთ. გიყვებათ ქალებზე, რომლებიც საკუთარი პოტენციალის რეალიზებისკენ მიისწრაფვიან.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია მადლობას უხდის რესპონდენტებს ისტორიების გაზიარებისთვის და ჩვენს კოლეგას, ნინო ნატროშვილს, რომელმაც საქართველოს რეგიონებში იმოგზაურა და ეს ამბები პუბლიკაციისთვის შეაგროვა.

„ხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ჩემნაირი ქალები გავიცანი, აზრები გავცვალეთ, ერთმანეთს გამოცდილება გავუზიარეთ, უამრავი ახალი რამ ვისწავლეთ. თითქოს გავახალგაზრდავდი“.

რუსუდან თევდორაძე

65 წლის, იმერეთი, ბაღდათი, სოფელი დიმი, ღვინის ბრენდი „ნაგუთნები“, დამფუძნებელი

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც იმერეთში და საერთოდ საქართველოშიც ღვინო მხოლოდ კაცების საქმედ მიიჩნეოდა, ქალებს კი ქვევრებთან ახლოს არ უშვებდნენ, ჩემი დედამთილი ვენახსაც უვლიდა და ღვინოსაც აყენებდა. ქვრივი იყო და შვილები მარტომ სწორედ ამ ვენახის შემოსავლით გაზარდა.

ყურძენს ჩემი მეუღლეც წურავდა, თუმცა ბოთლში არ ასხამდა. მეც სულ მის გვერდით ვიყავი, საქმეს ვინაწილებდი. როცა გარდაიცვალა, გადავწყვიტე, ტრადიცია გამეგრძელებინა. შვილებმაც მხარი დამიჭირეს, რამაც მოტივაცია კიდევ უფრო გამიზარდა. მათი დახმარებით, 6 წლის წინ ჩემი ღვინო პირველად ბოთლში ჩამოვასხი და თანდათან ეს საქმიანობა ბიზნესადაც ვაქციე.

სულ ვაზის 3000-მდე ძირი მაქვს, ნაწილი სახლის ეზოში, ნაწილი კი — ნაგუთნებში, რომელიც ჩვენს მხარეში ცნობილი ადგილია. იქ განსაკუთრებული გემოვნებით გამორჩეული ყურძენი მოდის, ამიტომ ჩემს ღვინოსაც „ნაგუთნები“ ჰქვია. ყურძნის ჯიშებიდან ცოლიკაური, კრახუნა, მარტვილის ოჯალეში და ალადასტური მომყავს. სულ 12 ტონამდე ყურძენს ვკრეფ ხოლმე. თეთრ მშრალ ღვინოსაც ვასხამ და წითელ ნახევრად ტკბილსაც. საშუალოდ 6 ტონამდე გამოდის. ღვინოს ქართული ტრადიციული წესით, ქვევრშიც ვაყენებ და — ევროპული ტექნოლოგიითაც.

„ნაგუთნები“ ძირითადად თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში იყიდება. ბიოღვინოა და ახლა შესაბამისი სერტიფიკატის აღებაზე ვმუშაობ. ძალიან მინდა, ექსპორტზეც გავიტანო.

მეღვინეობა უდიდესი პასუხისმგებლობაა. ამ საქმით შენს უძველეს ტრადიციას აცოცხლებ, ან მას განსხვავებულად, ახლებურად წარადგენ. მე თუ ჩემს ღვინოს საზღვრებს გარეთ გავიტან, ამით ქართველ ქალ მეღვინეებსაც წარმოვაჩენ და მთლიანად ქვეყანასაც.

> ” მეღვინეობა უდიდესი პასუხისმგებლობაა. ამ საქმით შენს უძველეს ტრადიციას აცოცხლებ, ან მას განსხვავებულად, ახლებურად წარადგენ. “

მიხარია, რომ ბოლო დროს საქართველოში ქალი მეღვინეების რიცხვიც გაიზარდა და მათი მარნების პოპულარიზაციაც. ვაზს განსაკუთრებული მზრუნველობა სჭირდება და ეს ქალებს ძალიან კარგად გამოგვდის. მე ვენახს სულ სიყვარულით ვუვლი, როგორც ბავშვებს ისე ვკითხულობ და ვეფერები: აბა, როგორაა ჩემი კრახუნა, რას შვრება ჩემი ცოლიკაური? რა თქმა უნდა, ბევრი შრომაც მიწევს, მაგრამ მის გარეშე არაფერი გამოვა.

> ” ვაზს განსაკუთრებული მზრუნველობა სჭირდება და ეს ქალებს ძალიან კარგად გამოგვდის. მე ვენახს სულ სიყვარულით ვუვლი, როგორც ბავშვებს ისე ვკითხულობ და ვეფერები: აბა, როგორაა ჩემი კრახუნა, რას შვრება ჩემი ცოლიკაური? “

წლებია, მეღვინეობით ვარ დაკავებული და ნამდვილად არ ველოდი, რომ ვინმე ამ ასაკში, ახლა აღმომაჩენდა. როცა გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის შესახებ საქართველოს ფერმერთა ასოციაციისგან გავიგე, უპირველესად ის გამიხარდა, რომ ქალებით ინტერესდებოდნენ, აქცენტი ჩვენზე კეთდებოდა. ამ თვეების განმავლობაში სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ჩემნაირი ქალები გავიცანი, აზრები გავცვალეთ, ერთმანეთს გამოცდილება გავუზიარეთ, უამრავი ახალი რამ ვისწავლეთ. თითქოს გავახალგაზრდავდი.

მერე გაეროს ქალთა ორგანიზაციისგან გრანტიც მივიღე. ყურძნის საწური ელექტრომანქანა მჭირდებოდა. მის გარეშე ძალიან ვწვალობდი. ჩემი შვილი ამდენ ყურძენს სულ ხელით წურავდა. დაფინანსებით სწორედ ეს მანქანა და 2500-ლიტრიანი ცისტერნა ვიყიდე. ახლა 10 დღის საქმეს 1 დღეში ვაკეთებ. რადგან ჭურჭელიც მაქვს, უფრო მეტ ღვინოს ვწურავ და მას საიმედოდაც ვინახავ. ასე რომ, ჩემი წარმოების რაოდენობაც გაიზარდა და ხარისხიც.

ამ პროექტის შემდეგ მიწის ნაკვეთი კიდევ ვიყიდე. მინდა, იქაც ვენახი გავაშენო, ამჯერად კიდევ ერთი იმერული ჯიში - ოცხანური საფერავი მოვიყვანო და ღვინის ახალი სახეობა ჩამოვასხა. უკვე აგროტურიზმის მიმართულების განვითარებაზეც ვფიქრობ. მარნის რეკონსტრუქციას ვაკეთებ, ტურისტებს რომ ვუმასპინძლო, ღვინო დავაგემოვნებინო და ჩვენს კუთხეს პოპულარიზაცია გავუწიო.



> „პროექტში მონაწილე ქალები ვმეგობრობთ და ვცდილობთ, ერთმანეთის საქმიანობა გავაძლიეროთ“.

ნათია ჩახუნაშვილი

25 წლის, იმერეთი, ქუთაისი, „თეთრი სახლის ბურგერი“, დამფუძნებელი

ჩემი ცხოვრება ორ ნაწილად იყოფა: სპორტად და ბიზნესად. 8 წლის ვიყავი, როცა მშობლებმა ჩოგბურთზე მიმიყვანეს. მაშინ ბადეს ჯერ კიდევ ვერ ვწვდებოდი, თუმცა ვიცოდი, რომ ეს ზუსტად ის იყო, რაც ძალიან მინდოდა. პირობები პრაქტიკულად არ გვქონდა, მაგრამ მაინც ბევრს ვვარჯიშობდი, სულ კორტებზე ვიყავი, ბოლომდე ვიხარჯებოდი. 12 წლისამ ტურნირზე დებიუტანტად ვიასპარეზე და ბათუმის ღია პირველობა მოვიგე. დიდი ხნის განმავლობაში საქართველოში მეშვიდე ჩოგნად ვიყავი განთესილი.

სამწუხაროდ, 17 წლის ასაკში ფეხი მოვიტეხე. მყესები ისე დამიზიანდა, რომ ინტენსიური ვარჯიში ამიკრძალეს და ჩოგბურთის გაგრძელება ვეღარ შევძელი. ეს ჩემთვის არა მარტო ფიზიკური, არამედ მძიმე ემოციური ტრავმაც იყო. რთული პერიოდი გავიარე: დილაობით ჩოგანთან მივდიოდი და ხელს გადავუსვამდი ხოლმე. ვერ წარმომედგინა, რომ საქმე, რომელშიც მთელი ძალისხმევა ჩავდე, ასე დასრულდა.

მალე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ფარმაცევტული ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი და პარალელურად, სწრაფი კვების ერთ-ერთ ობიექტში დავიწყე მუშაობა. სამსახური ძველი ტრავმის დავიწყებაში ძალიან დამეხმარა. მერე სასტუმროში, ადმინისტრატორად გადავედი, სადაც ჩემი მომავალი მეუღლე გავიცანი. ლევანი შეფმზარეული იყო, კულინარიაში არაჩვეულებრივად ერკვეოდა. მისი დიდი მხარდაჭერით, საკუთარი ბიზნესი წამოვიწყე და სწრაფი კვების ობიექტი „თეთრი სახლის ბურგერი“ გავხსენი.

ქუთაისში საკმაოდ მაღალი კონკურენცია იყო, თუმცა მე განსხვავებული კონცეფცია ავირჩიე. გადავწყვიტე, სრულიად ჯანსაღი, სხვადასხვა სახის ბურგერი მომემზადებინა, მხოლოდ ნატურალური პროდუქტი გამომეყენებინა, პურიც აქვე გამომეცხო და ხორცი ნახშირზე, უცხიმოდ შემეწვა. ამ სტრატეგიამ გაამართლა. ძალიან მალე მივხვდი, რომ გაფართოება მჭირდებოდა, სტუმრები პატარა სივრცეში უკვე ვეღარ ეტეოდნენ.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტში მონაწილეობა სწორედ ამ დროს მივიღე. ჩემთვის ეს სრულიად ახალი გამოცდილება

> ჩემთვის ეს სრულიად ახალი გამოცდილება იყო. თავიდან ისე ვღელავდი, როგორც წლების წინ, როცა ჩოგბურთში შეჯიბრებებზე გამოვდიოდი.

იყო. თავიდან ისე ვღელავდი, როგორც წლების წინ, როცა ჩოგბურთში შეჯიბრებებზე გამოვდიოდი.

ტრენინგების შემდეგ დაფინანსებაც მივიღე და ამ თანხით ძალიან მნიშვნელოვანი დანადგარები შევიძინე. განსაკუთრებით ცომსაზელი მჭირდებოდა. ჩემი თანამშრომელი ქალები ცომს ხელით ზელდნენ, რაშიც ბევრი ფიზიკური ენერგია და დრო სჭირდებოდათ. ამის გამო, ხშირად შეკვეთებზე უარის თქმა გვიწევდა. ამჟამად მათი შრომა გაცილებით შემსუბუქდა. უკვე შეგვიძლია, ბევრად მეტ სტუმარს მოვემსახუროთ. გაზაფხულზე ახალ, დიდ შენობაში გადავედით. რომ არა ეს პროექტი, ბიზნესის განვითარებისთვის უფრო მეტი დრო და ფინანსების თავად დაგროვება დამჭირდებოდა.

პროექტში მონაწილე ქალები ვმეგობრობთ და ვცდილობთ, ერთმანეთის საქმიანობა გავაძლიეროთ. ერთ-ერთი მათგანის ხელი ჩემს ბიზნესს უკვე ეტყობა: როცა ახალ სივრცეში გადავედით, პადონებისთვის საჭირო შეფუთვა და პერსონალის ფორმები შორენა ჩიჯავაძეს დავუკვეთე. შორენას სამკერვალო სალონი აქვს და ტრენინგებზე გავიცანი. სამომავლოდ ვაპირებ, რომ სხვადასხვა პროდუქტი, მაგალითად, კიტრი, ჩაი, ტკბილეული და ა.შ. სწორედ პროექტის მონაწილე ქალებისგან შევიძინო. მინდა, ერთმანეთს კიდევ უფრო დავეხმაროთ.

როცა ბიზნესს ვიწყებდი, ძალიან ვღელავდი. კრედიტი მქონდა აღებული, არ ვიცოდი, იდეა გაამართლებდა, თუ — არა. ალბათ, ჩემსავით ბევრია, მაგრამ ეს შიში უნდა დაძლიონ. მეწარმე ქალებმა მიზნის მისაღწევად ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რამდენჯერაც წავიქცევით, ავდგეთ, გავაგრძელოთ და ჩვენი სათქმელი აუცილებლად ვთქვათ.

> მეწარმე ქალებმა მიზნის მისაღწევად ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რამდენჯერაც წავიქცევით, ავდგეთ, გავაგრძელოთ და ჩვენი სათქმელი აუცილებლად ვთქვათ.



„მინდა, ჩემს საქმიანობაში სხვა ქალებიც ჩავრთო და არა მარტო ისინი, არამედ მათი ოჯახებიც გავაძლიერო“.

ქეთევან დიაკონიძე

59 წლის, იმერეთი, ზესტაფონი, სოფელი ბოსლევი, ჩირისა და ტკბილეულის ბრენდი „მზისა“, დამფუძნებელი

პურის ცხობის, მაკარონისა და საკონდიტრო ნაწარმის ტექნოლოგი ვარ. 22 წლის ვიყავი, როცა მუშაობა თერჯოლის საკონსერვო ქარხანაში დავიწყე. გარკვეული პერიოდის შემდეგ ის სასურსათო კომბინატად გადაკეთდა, სადაც საკონდიტრო საამქროს გახსნაც გადაწყდა. პროცესს მე ვხელმძღვანელობდი. მერე ჯერ — ტექნოლოგად, მოგვიანებით კი ლაბორატორიის გამგედ ვმუშაობდი. სხვათა შორის, საქართველოში იმ დროისთვის ცნობილ ტკბილეულს — ჩიტის რძეს, ზეფირსა და მარმელადებს სწორედ ჩვენ ვამზადებდით.

წლების შემდეგ, როდესაც ჩემმა შვილებმა სკოლა დაამთავრეს და უმაღლესი განათლების მისაღებად თბილისში წავიდნენ, მეც მათ გავყევი. ყოველთვის ვცდილობდი, საკუთარ თავზე მემუშავა და ცოდნა გამეღრმავებინა. ვოცნებობდი, ჩემი საქმე დამოუკიდებლად დამეწყო, ამიტომ როცა შვილები ლექციებზე იყვნენ, მე ბიბლიოთეკაში ვიჯექი და პროფესიულ ლიტერატურას ვკითხულობდი. მინდოდა, ისეთი ჯანსაღი პროდუქტი მეწარმოებინა, რომელიც ადამიანებისთვის

> ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲕᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲘ, ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲛᲔᲛᲣᲨᲐᲕᲐ ᲓᲐ ᲪᲝᲓᲜᲐ ᲒᲐᲛᲔᲦᲠᲛᲐᲕᲔᲑᲘᲜᲐ. ᲕᲝᲪᲜᲔᲑᲝᲑᲓᲘ, ᲩᲔᲛᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲛᲔᲬᲧᲝ.

სასარგებლო იქნებოდა. ზესტაფონში დაბრუნების შემდეგ გადავწყვიტე, ჩანაფიქრი სოფელში, ბოსლევში განმეხორციელებინა, სადაც გარემო ეკოლოგიურად სუფთაა, ხილი კი — ჯანსაღი.

იმ პერიოდში სამთავრობო პროექტი „აწარმოე საქართველოში“ მიმდინარეობდა, მონაწილეობა მივიღე და გრანტიც მოვიგე. თავდაპირველად ექსპერიმენტებს მივმართე და კლასიკური ტექნოლოგია საკუთარი იდეებით ჩავანაცვლე. ჩემს ეზოში მოწეული ხილით ჯერ ლეღვის ცუკატი ვცადე, შემდეგ — ქლიავის ჩირი და ხილის რულეტები. ყველა მათგანი ისე დავამუშავე, რომ სასარგებლო თვისებები სრულად შევუნარჩუნე. მერე ჩემი პროდუქციის ასორტიმენტი ხურმის ჩირით, სუფლეებითა და შოკოლადში ამოვლებული ცუკატითაც გავამდიდრე, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტში ჩართვის შემდეგ ჩემი საქმიანობა კიდევ უფრო გამრავალფეროვნდა. ჯერ ერთი, ტრენინგებსა და შეხვედრებზე ძალიან საინტერესო ქალები გავიცანი. ისინი საკუთარი გამოცდილებიდან ისეთ რამეებს ჰყვებოდნენ ხოლმე, რაც მხოლოდ პრაქტიკიდან მოდის, თეორიაში ვერ ამოიკითხავ. პროექტით მიღებულმა გრანტმა კი წარმოებაც გამიუმჯობესა. ამ თანხით ძალიან მნიშვნელოვანი დანადგარები — 2 საშრობი, 2 მაცივარი და ჩირების შესაფუთი მოწყობილობა შევიძინე. ახლა შემიძლია პროდუქციის დიდი რაოდენობა დავამზადო და ამინდზე აღარ ვიყო დამოკიდებული, მერე კი მზა ნაწარმი უფრო ხანგრძლივად, შესაბამისი პირობებით შევინახო. პროექტის დახმარებით შეიქმნა ბრენდი „მზისაც“, რომელიც ცნობადობისა და რეალიზაციის გაზრდაში დამეხმარება.

ბიზნესფორუმებზეც მივიღე მონაწილეობა, უფრო ინიციატივიანი გავხდი. ის ფაქტი, რომ ჩემგან ახლის შექმნასა და წარმატებას მოელიან, მეტ მოტივაციას მანიჭებს. პასუხისმგებლობა მაქვს აღებული და თავს მოდუნების უფლებას არ ვაძლევ. უკვე კონკრეტული გეგმებიც დავისახე. მინდა, ბავშვებისთვის გოგრისგან სასარგებლო ნუგბარი დავამზადო, დიაბეტით დაავადებულებისთვის კი – სპეციალური კანფეტები. რეალიზაციის არხების გამრავალფეროვნებასა და „მზისას“ ტურისტულ ცენტრებში შეტანაზეც ვფიქრობ.

> ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲡ ᲛᲝᲓᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲕᲐᲫᲚᲔᲕ. ᲣᲙᲕᲔ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲪ ᲓᲐᲕᲘᲡᲐᲮᲔ.

პროდუქციის სიჯანსაღეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ, ამიტომ ხეხილი ჩემსავე ეზოში მომყავს. ჯერჯერობით სრულად არ მყოფნის, ამიტომ ნაწილს ახლოს მცხოვრები გლეხებისგან ვყიდულობ. თუმცა, საბოლოოდ მინდა, ტკბილეული მხოლოდ საკუთარი ხელით მოყვანილი ხილით დავამზადო, მთელი პროცესი — ხის დარგვიდან პროდუქტის შექმნამდე — რეალურ წარმოებას დავამსგავსო, ჩემს საქმიანობაში სხვა ქალებიც ჩავრთო და არა მარტო ისინი, არამედ მათი ოჯახებიც გავაძლიერო.

„უკვე დამატებით ერთი ქალის მომზადებასა და დასაქმებაზეც ვფიქრობ. მოლოდინი მაქვს, რომ კიდევ უფრო გავფართოვდებით და სხვა ქალებსაც აუცილებლად დავასაქმებ“.

მაგდა კუპატაშვილი

50 წლის, იმერეთი, ქუთაისი, დიზაინის სალონი „მაგდასალო“, თანადამფუძნებელი

17 წლის ვიყავი, როდესაც სასწავლებლად ლატვიაში წავედი. მაშინ საქართველოში დიზაინერობა პოპულარობით დიდად არ სარგებლობდა, თუმცა მე ეს პროფესია ბავშვობიდან ძალიან მომწონდა. თანაც, ჩემს ოჯახშიც ყველა ხელსაქმით იყო დაკავებული.

ლატვიაში, რიგის უნივერსიტეტში, კერამიკის ტექნოლოგიაზე ჩავაბარე. რა თქმა უნდა, სამხატვრო აკადემია მინდოდა, მაგრამ ვერ გავბედე. აკადემიის შენობასთან გავლა 5 წლის განმავლობაში ყოველდღე მიწევდა და სულ იმაზე ვფიქრობდი, რა ბედნიერები იყვნენ ისინი, ვინც იქ სწავლობდნენ.

კერამიკის ტექნოლოგიის დაუფლების შემდეგ კერძო გაკვეთილებზე დავდიოდი: ძერწვა, კერვა და ბატიკა ვისწავლე. 30 წლისამ კი ოცნება მაინც ავისრულე და რიგის სამხატვრო აკადემიაში, ტანსაცმლის დიზაინის ფაკულტეტზე ჩავაბარე. ძალიან ვწვალობდი, კერვის შეკვეთებს ვიღებდი, რომ სწავლის ფული გადამეხადა, თუმცა საბოლოოდ პროფესიონალად ჩამოვყალიბ-

დი და სწავლის დასრულების შემდეგ საქართველოში დავბრუნდი.

აქ 90-იანი წლების შემდგომი რთული პერიოდი დამხვდა, მაგრამ მე და ჩემმა დამ, რომელიც ასევე დიზაინერი იყო, საბჭოთა პერიოდის, 20 წლის საქსოვი მანქანა ვიყიდეთ და დიზაინის სალონი ჩვენსავე სახლში გავხსენით. კონსტრუქციასა და დიზაინს ვქმნიდით, ვკერავდით და ვქსოვდით. ვწვალობდით, იმიტომ რომ ძველი მანქანა სათანადო ხარისხს არ იძლეოდა. მერე სამთავრობო პროექტი „აწარმოე საქართველოში“ დაიწყო. პირველად სწორედ მასში მივიღეთ მონაწილეობა და მოწყობილობებიც შევიძინეთ. შემდეგ კი უკვე გაეროს ქალთა ორგანიზაციიდან და საქართველოს ფერმერთა ასოციაციიდან დამიკავშირდნენ, ახალ პროექტშიც სიამოვნებით ჩავერთე.

განსაკუთრებით კომბინირებული ტრენინგები მომეწონა. კონკრეტული, სპეციფიკური ცოდნის გარდა, მონაწილეებს თვალსაწიერიც გაგვეზარდა. გავიგეთ, რა არის ქალის უფლებები, თანასწორობა, ძალადობის პრობლემა... მახსოვს, თითოეული შეხვედრიდან სულ სხვანაირად მოტივირებული გამოვდიოდი. რეგიონებში ასეთ ტრენინგებს

> სხვა ქალების წარმატებითა და ისტორიებით საოცრად ვიმუხტებოდი, ვგრძნობდი, რამხელა ძალა გვქონდა თითოეულ ჩვენგანს.

მოკლებულები ვართ ხოლმე, ამიტომ ჩემთვის ეს ერთგვარი სინათლის სხივი იყო.

სხვა ქალების წარმატებითა და ისტორიებით საოცრად ვიმუხტებოდი. ვგრძნობდი, რამხელა ძალა გვქონდა თითოეულ ჩვენგანს.

გამიმართლა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის საგრანტო კონკურსშიც გავიმარჯვე. მოწყობილობის არქონის გამო, იმ პერიოდში ვეღარ ვქსოვდი, ამიტომ მიღებული თანხით ორი თანამედროვე მანქანა შევიძინე. ისინი ძალიან კარგი ხარისხის ნაწარმს ქმნის. ახლა უკვე დამატებით ერთი ქალის მომზადებასა და დასაქმებაზეც ვფიქრობ. მოლოდინი მაქვს, რომ კიდევ უფრო გავფართოვდებით და სხვა ქალებსაც აუცილებლად დავასაქმებ.

ის როლი, რომელსაც ქალები ეკონომიკაში ასრულებენ, წესით, საქართველოში სადავო არ უნდა იყოს. 90-იან წლებში ქვეყნის ეკონომიკა სწორედ მათ გადაარჩინეს. თუმცა, ეს წვლილი კიდევ უნდა გაიზარდოს და ვფიქრობ, ამ პროცესში პროექტის მონაწილეებსაც საკუთარი მნიშვნელოვანი ფუნქცია გვაქვს. თითოეულის წარმატება ხომ სხვა ქალებზეც მოახდენს დადებით გავლენას, მათაც მისცემს მოტივაციას. ძალიან მინდა, ჩვენი საქმიანობები სწორედ ასეთ პოზიტიურ მაგალითებად იქცეს.

„ვიცი, ამ პროდუქტს დედები ენდობიან, მცირეწლოვან ბავშვებს აჭმევენ და როცა სუფთა მაწონი სჭირდებათ, ყოველთვის ნონა ეიმედებათ“.

ᲜᲝᲜᲐ ᲑᲐᲙᲣᲠᲐᲫᲔ

54 ᲬᲚᲘᲡ, ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘ, ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ, ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ, ᲛᲐᲬᲕᲜᲘᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲚᲘ

ჩემს სოფელთან ახლოს რამდენიმე კორპუსი დგას. ქალებს, რომლებიც იქ ცხოვრობენ, ეზო არ აქვთ, საქონელს ვერ ზრდიან და ნატურალურ რძის პროდუქტებს თავად ვერ აწარმოებენ. ასე 9-10 წლის წინ ბევრ მათგანს მცირეწლოვანი ბავშვი ჰყავდა და ეკოლოგიურად სუფთა, ჯანსაღი მაწვნის შეძენა უჭირდა. არადა, ეს პროდუქტი ძალიან სასარგებლოა, განსაკუთრებით პატარებისთვის. მაშინ მე 2 ძროხა მყავდა, მაწონს მხოლოდ ოჯახისა და 2 შვილისთვის ვამზადებდი, თუმცა როცა ამ ქალების პრობლემები გავიგე, ვიფიქრე, ჩემი ნატურალური პროდუქტი მათთვისაც შემეთავაზებინა.

პირველად 5 ქილა მოვამზადე. ქალებს ძალიან მოეწონათ, ამიტომ შემდეგ ჯერზე ეს რიცხვი 8-მდე გავზარდე, მერე — 10-მდე, მერე კი უკვე — 15-მდე. რძე როცა მაკლდებოდა, სხვებისგან ვყიდულობდი და ქილების რაოდენობასაც ნელ-ნელა ვამატებდი. თანდათან „ნონას მაწონი“ პოპულარული გახდა. სხვათა შორის, მას დღემდე სწორედ ამ სახელით იცნობენ.

„ზოგჯერ 50-მდე ქილა მთავარ გზამდე ხელით ჩამქონდა, ფეხით 1 კილომეტრს გავდიოდი, მერე ავტობუსში ვჯდებოდი, ქუთაისში ჩავდიოდი და მაწონს ისევ ხელით ვარიგებდი.“

მერე მაღაზიებში ჩაბარებაც დავიწყე. რა თქმა უნდა, თავდაპირველად მიჭირდა: ზოგჯერ 50-მდე ქილა მთავარ გზამდე ხელით ჩამქონდა, ფეხით 1 კილომეტრს გავდიოდი, მერე ავტობუსში ვჯდებოდი, ქუთაისში ჩავდიოდი და მაწონს ისევ ხელით ვარიგებდი. ამ დროს მეუღლეც ძალიან მეხმარებოდა. 2 წლის განმავლობაში ერთად ვიწვალეთ, თანხა დავაგროვეთ და ავტომობილი ვიყიდეთ.

იმ პერიოდში საქართველოს ფერმერთა ასოციაციაში გავწევრიანდი, გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის შესახებაც მათგან გავიგე და სიამოვნებით ჩავერთე. ტრენინგებმა ისეთი ცოდნა მომცა, რომ ახლა საკუთარ დეკლარაციას თავად ვაბარებ, კომპიუტერთან მუშაობაც უფრო კარგად ვისწავლე.

განსაკუთრებით პროექტით მიღებული გრანტი დამეხმარა: მანამდე 8 ძროხას ხელით ვწველიდი, რაც ძალიან მღლიდა, ამიტომ უპირველესად საწველი აპარატი შევიძინე და მძიმე ფიზიკური შრომა შევიმსუბუქე. რადგან იმდენი ენერგია აღარ მეხარჯება, მეტ მაწონს ვამზადებ. წარმოება დაახლოებით 20 ქილით, 70-80 ქილამდე გამეზარდა და, ბუნებრივია, ჩემს ბიზნესს შემოსავალიც მოემატა.

დაფინანსებით რძის ხარისხის შესამოწმებელი მოწყობილობა, ცხიმიანობის საზომი ლაქტოსკანი, მაწვნის შესანახი მაცივარი და ქურა ვიყიდე. ახლა პროდუქციის გამრავალფეროვნება და დაბალი ცხიმიანობის მაწვნის წარმოებაც მინდა. ლაქტოსკანიც სწორედ იმიტომ შევიძინე, რომ პროდუქტი ხარისხიანი იყოს.

დღეში დამატებით 18-20 ლიტრი რძე მჭირდება. მას მუდმივად 2 ქალისგან ვყიდულობ და საკუთარივით ვამოწმებ, რათა მაწონი ყოველთვის ჯანსაღი და ნატურალური მომზადდეს. ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია: ვიცი, ამ პროდუქტს დედები ენდობიან, მცირეწლოვან ბავშვებს აჭმევენ და როცა სუფთა მაწონი სჭირდებათ, ყოველთვის ნონა ეიმედებათ. მერე მირეკავენ ხოლმე და მადლობას მიხდიან. ეს ჩემი შრომის ყველაზე დიდი შედეგია და განსაკუთრებით მახარებს.

ყოველთვის მინდოდა, საკუთარი შემოსავალი მქონოდა, ამიტომ სიძნელეების მიუხედავად, უკან არ დავიხიე. როცა ეკონომიკურად ძლიერი ხარ, სხვებსაც ეხმარები და მერე რაღაცნაირად სხვა სიამაყის გრძნობა გეუფლება. მინდა, ირგვლივ ქალებსაც მეტი თავისუფლება და შესაძლებლობები ჰქონდეთ, რომ საკუთარი შრომის შედეგი ნახონ და ეკონომიკურად გაძლიერდნენ.

„ყოველთვის მინდოდა, საკუთარი შემოსავალი მქონოდა, ამიტომ სიძნელეების მიუხედავად, უკან არ დავიხიე. როცა ეკონომიკურად ძლიერი ხარ, სხვებსაც ეხმარები და მერე რაღაცნაირად სხვა სიამაყის გრძნობა გეუფლება.“

„ტყავის ჩანთების შეკერვა დავიწყე და დამატებით 2 ქალი დავასაქმე“.

შორენა ჩიჯავაძე

50 წლის, იმერეთი, ქუთაისი, დიზაინის სახლი „ჟაკარდი“, დამფუძნებელი

წელს 50 წლის გავხდი და აღმოვაჩინე, რომ ცხოვრების საუკეთესო პერიოდი მაქვს. რადაცნაირად ისე მოხდა, რომ ყველაფრის შედეგი, რაც აქამდე მიკეთებია, ახლა მივიღე.

სამხატვრო სკოლა დავამთავრე, ძალიან კარგად ვხატავდი. მინდოდა, მოქანდაკე გავმხდარიყავი, მაგრამ მშობლებმა სასწავლებლად დედაქალაქში მარტო არ გამიშვეს. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ავტომატიზაცია და კომპლექსური მართვის მექანიზაცია დავამთავრე. პროფესიით ინჟინერი ვარ, თუმცა სპეციალობით არასდროს მიმუშავია: ყველაფერს, რასაც ვაკეთებ, საფუძვლად ხატვის სიყვარული უდევს.

კერვით ჯერ კიდევ სკოლის პერიოდში დავინტერესდი. 14-15 წლის ვიქნებოდი, როცა მეზობელმა ქალმა დალამბვა მაჩვენა, მერე დანარჩენი თვითონ ვისწავლე. ჩემი დაოჯახება 90-იანების რთულ პერიოდს დაემთხვა: ხალხს განსაკუთრებულად უჭირდა. გამოსავლის ძიებამ კერვის დაწყებისკენ მიბიძგა. აღმოჩნდა, რომ ჩემი ნახელავი ძალიან მოეწონათ.

დაახლოებით 6 წლის წინ პროფესიულ კერვაზე გადავედი. შვილები გაიზარდნენ, სტუდენტები გახდნენ და მივხვდი, დრო იყო, საკუთარი საქმე უფრო აქტიურად განმევითარებინა. ფართი მოვძებნე და ერთ პატარა ოთახში სამკერვალო გავხსენი. ბიზნესი თავიდანვე კარგად წარიმართა. ტანსაცმელს კი არ ვკერავდი, წარმოვიდგენდი ხოლმე, რომ ვხატავდი ან ვძერწავდი და ეს ძალიან მომწონდა.

პირველად ჩემი საქმიანობა სამთავრობო პროექტმა „აწარმოე საქართველოში“ დააფინანსა, რამაც თანამშრომლის აყვანის შესაძლებლობა მომცა. კერვასთან ერთად, დიზაინებსაც ვქმნიდი და კონსტრუქციებსაც ვადგენდი. მალე გავფართოვდი და „ჟაკარდი“ დავაარსე.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის შესახებ საქართველოს ფერმერთა ასოციაციისგან გავიგე. პირველივე შეხვედრიდან სულ სხვა ადამიანი გამოვედი. როდესაც საკუთარი თავის წარდგენა გვთხოვეს, აღმოვაჩინე, რომ ჩემ შესახებ ხმამაღლა პირველად მოვყევი. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ეს ისტორია გვერდიდან მოვისმინე და გავაცნობიერე, რომ რაღაც საინტერესო მეც მქონდა გაკეთებული.

ტრენინგების გავლის შემდეგ გრანტი მივიღე. დაფინანსებამ ჩემი საქმიანობა ახალ საფეხურზე აიყვანა: 4 საკერავი მანქანა შევიძინე, მათ შორის ერთ-ერთი ტყავზე მუშაობს. პირველად ამ მანქანით როცა შევკერე, მივხვდი, წლების განმავლობაში რა წვალება მქონდა გამოვლილი. ვიყიდე 2 მანეკენი და უთოც, რომელიც ჩვენს საქმეში ძალიან დიდ როლს ასრულებს.

ავტომატიზაციის პროცესმა დრო და ენერგია დამიზოგა, პროდუქტიულობა და შეკვეთების რაოდენობა კი გამიზარდა. ტყავის ჩანთების შეკერვა დავიწყე და დამატებით 2 ქალი დავასაქმე. ამ პროექტმა ჩემს საქმიანობას რეალიზაციის რგოლიც შემატა: ქუთაისის სავაჭრო ცენტრში საკუთარი მაღაზია გავხსენი, სადაც სამოსსა და ჩანთებს ვყიდი. ყველა მოდელი ინდივიდუალური და ექსკლუზიურია, რაც თავისუფალი აზროვნებისა და შემოქმედებითი რეალიზების შესაძლებლობას მაძლევს. ძალიან მინდა, პროდუქცია ბათუმშიც გავყიდო. რაც მთავარია: მას შემდეგ, რაც შრომის პროცესი შემიმსუბუქდა, ჩემს საყვარელ საქმიანობას — ხატვასაც მივუბრუნდი.

ორი შვილი მყავს — ბიჭი და გოგო, რომელიც ძალიან მეხმარება და „ჟაკარდის“ ყოველდღიურობაში აქტიურად მონაწილეობს. ეს კიდევ ერთხელ მარწმუნებს, რომ ქალისთვის მეწარმეობა მხოლოდ შემოსავლის მიღების კუთხით არაა მნიშვნელოვანი. ეკონომიკურად ძლიერი, რეალიზებული დედა შვილებისთვის, განსაკუთრებით კი გოგოებისთვის, საუკეთესო მაგალითია.

> ”ქალისთვის მეწარმეობა მხოლოდ შემოსავლის მიღების კუთხით არაა მნიშვნელოვანი. ეკონომიკურად ძლიერი, რეალიზებული დედა შვილებისთვის, განსაკუთრებით კი გოგოებისთვის, საუკეთესო მაგალითია.“

„მთავარი, რაც ამ პროექტიდან მივიღე, საკუთარი თავის რწმენაა და ეს ყველაფერზე მეტია. ვიცი, რომ რასაც ადამიანი გულით მოინდომებს, იმას აუცილებლად გააკეთებს“.

თამარ ღვალაძე

50 წლის, იმერეთი, ბაღდათი, სოფელი ობჩა, მეღვინე და „ბაიას მარნის“ თანადამფუძნებელი

მეღვინეობა ისეთი სამყაროა, თუ ერთხელ ფეხს შედგამ, ვეღარ მოწყდები, ძალიან გიზიდავს. ჩემ შემთხვევაში ყველაფერი ბავშვობიდან დაიწყო. მაშინ ამ საქმით დაკავებულ მშობლებს ვენახის მოვლაში ვეხმარებოდი. ეს ჯერ კიდევ ის დრო იყო, როცა საქართველოში ქალები ღვინოს არ აყენებდნენ. მათი მონაწილეობა მხოლოდ ყურძნის დაკრეფითა და ვაზის სამუშაოებით შემოიფარგლებოდა.

თუმცა, გავიდა წლები. თანდათან ქალისა და ღვინის შესახებ სტერეოტიპმა მსხვრევა დაიწყო. როცა დავქორწინდი, მე და ჩემმა მეუღლემ საკუთარი მეურნეობა გავაკეთეთ. ორივე მასწავლებლები ვართ, ამიტომ სკოლაშიც, ვენახსა და მარანშიც ერთად ვმუშაობდით. 3 ჰექტარზე გაშენებულ ვაზს მხოლოდ საკუთარი საჭიროებისთვის ვერ ვიყენებდით და ჭარბ ღვინოს ვყიდდით. ეს ჩვენი პირველი შემოსავალი იყო. პარალელურად, მე სულ პროფესიულ ლიტერატურას ვკითხულობდი, ინფორმაციას ინტერნეტითაც ვიძიებდი და დროსთან ერთად, თვითნასწავლ მეღვინედ ჩამოვყალიბდი.

2015 წელს სამთავრობო პროექტის „აწარმოე საქართველოში“ გრანტი მოვიგე და ღვინის ბოთლში ჩამოსხმა დავიწყე. იდეა ჩემს ქალიშვილს, ბაიას ეკუთვნოდა, რომელმაც ჩვენი ღვინის ბრენდად ქცევაში უდიდესი როლი შეასრულა. პოპულარიზაციაში ძალიან დაგვეხმარა საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ხელმძღვანელი ნინო ზამბახიძე. მალე ჩვენს საქმიანობას მეორე ქალიშვილი, გვანცაც შემოუერთდა.

ამჟამად მეღვინეობას მე და ჩემი გოგოები ვუძღვებით: ბაია თეთრ ღვინოებს აყენებს, გვანცა — წითელს. ჩემი ვაჟი გიორგი კი დებს დისტრიბუციაში ეხმარება. სულ 4000 ძირი გვაქვს. ყურძნის ჯიშებიდან ცოლიკაური, ციცქა, კრახუნა, ალადასტური, ოცხანური საფერავი და ოჯალეში მოგვყავს. ჯამში 8 ათას ბოთლამდე ვასხამთ. ბაიას ღვინო და გვანცას ღვინო — ეს ორი ბრენდი საქართველოშიც იყიდება და ექსპორტზეც გადის. მათ შორის, შვეიცარიაში, საფრანგეთში, ესპანეთში, გერმანიაში, ნორვეგიასა და აშშ-ში.

ამბობენ, რომ ჩვენი ღვინო თავისი ხასიათით გამოირჩევა. ზოგადად, ეს განსაკუთრებული სასმელია, ყველა დეტალს იჭერს. მისი დაყენებისას იმასაც კი აქვს მნიშვნელობა, როგორ ხასიათზე ხარ. თუ სული და გული არ ჩადე, არაფერი გამოგდის. მე საქმეს სულ სიყვარულით ვაკეთებ. ვფიქრობ, ამ სიყვარულს ჩვენი ღვინოც გრძნობს და ისიც, ვინც მას მიირთმევს.

> ”
> მე საქმეს სულ სიყვარულით ვაკეთებ. ვფიქრობ, ამ სიყვარულს ჩვენი ღვინოც გრძნობს და ისიც, ვინც მას მიირთმევს.
> “

მეღვინეობა ძალიან მომწონს და მინდა, ჩემი საქმიანობით სარგებელი ქვეყანასაც მოვუტანო: ქვევრის ღვინო, რომელსაც 8000 წლის ტრადიცია აქვს და იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაშიცაა შეტანილი, კიდევ უფრო პოპულარული გავხადო. ამიტომ, ქართული ტრადიციული მეთოდით დაყენებული ღვინის წარმოების გაზრდაზე ვფიქრობ. სურვილის ასრულებაში გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტით მიღებული გრანტი და ამ თანხით შეძენილი 5 ცალი ტონიანი ქვევრი დამეხმარება. უფრო მეტ ღვინოს დავაყენებ, თანაც ისე, რომ უკვე დაკავებულ ნიშასაც შევინარჩუნებ. სხვათა შორის, პროექტი დამეხმარა, რომ კომპანია "აჭარა ჯგუფს" დავკავშირებოდი და ბაიას ღვინო მის სასტუმროებში შემეტანა.

ჩვენ ღვინის ტურიზმშიც ვსაქმიანობთ და განვითარება ამ მიმართულებითაც მინდა. როცა გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტით ტოსკანაში ვიყავი, უამრავი სიახლე აღმოვაჩინე. დავინახე, რომ მხოლოდ ღვინო არაა აგროტურიზმი. მნიშვნელოვანია, სტუმარი შენს ყოველდღიურობაში ჩართო, შინაური ცხოველი თუ ფრინველი აჩვენო, ბაღ-ბოსტანი დაათვალიერებინო, მასტერკლასები ჩაუტარო. იტალიიდან იდეებით სავსე დავბრუნდი. ამჟამად ახალ სივრცეს ვაშენებ, სადაც ტურისტებისთვის ქართული სამზარეულოს მასტერკლასებს ჩავატარებ.

მთავარი, რაც ამ პროექტიდან მივიღე, საკუთარი თავის რწმენაა და ეს ყველაფერზე მეტია. ვიცი, რომ რასაც ადამიანი გულით მოინდომებს, იმას აუცილებლად გააკეთებს. ახლა უკვე მიმაჩნია, რომ საკუთარი ადგილი ნაპოვნი მაქვს და ბედნიერი ვარ, რომ ჩემმა მაგალითმა ეს ადგილი ბაიასა და გვანცასაც აღმოაჩენინა. ჩვენ გვაქვს საქმე, რომელსაც არასდროს ვუღალატებთ.

„როდესაც ბევრი სტუმარი მყავს, ორი ქალი კიდევ მეხმარება, თუმცა ქალების გაძლიერება მხოლოდ ამით არ მინდა შემოიფარგლოს. ვაპირებ, სოფლის მეურნეობის პროდუქტები, რომლებიც სასტუმროში მჭირდება, ქალი მომწოდებლებისგან შევიძინო, მათ შორის იმ მეწარმეებისგან, რომლებიც პროექტით გავიცანი“.

თათია ხურციძე

32 წლის, იმერეთი, ქუთაისი, სასტუმრო CASA CALDA, დამფუძნებელი

15 წლიდან ვმუშაობ, თუმცა ყოველთვის სამოქალაქო სექტორში ვსაქმიანობდი და არასდროს წარმომედგინა, საკუთარი ბიზნესი მქონოდა. ბოლო წლებში ჩემი ქალაქი ტურისტულად განსაკუთრებით მიმზიდველ ადგილად იქცა. ქუთაისის ირგვლივ უამრავი ღირსშესანიშნაობაა, აეროპორტმა კი მისი პოპულარობა კიდევ უფრო გაზარდა. ამ გარემოებებმა საკუთარი სასტუმროს გახსნაზე დამაფიქრა.

მქონდა სახლი, რომელიც იდეის რეალიზების შესაძლებლობას მაძლევდა, თუმცა ბევრს ვყოყმანობდი. არ ვიცოდი, ღირდა თუ არა დაწყება, რამდენად გაამართლებდა ის, ან ბიზნესს თავს როგორ გავართმევდი, მაგრამ ბოლოს მაინც გადავწყვიტე, ჩანაფიქრი რეალობად მექცია.

დაგეგმარება და სარემონტო სამუშაოები უკვე დაწყებული მქონდა, როცა არასამთავრობო ორგანიზაცია „აფხაზინტერკონტში“, სადაც ბიზნესკონტულტანტად ვმუშაობ, გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის შესახებ შევიტყვე. მივხვდი, რომ ამ შესაძლებლობით აუცილებლად უნდა მესარგებლა. მით უმეტეს, რომ სამეწარმეო საქმიანობაში გამოცდილება საერთოდ არ მქონდა, სასტუმროს კი სწორი მართვა სჭირდებოდა.

ტრენინგებმა, რომლებიც ამ პროექტის ფარგლებში გავიარე, ღირებული ცოდნა მომცა. მათი დახმარებით ჩემი სასტუმროს ბუღალტერიას, სოციალური მედიის ანგარიშებს, ტურისტულ პლატფორმებზე გვერდებსა და ონლაინპიარს თავად ვუძღვები. ვისწავლე ზუსტი დაგეგმარება და ჩემი მართვის უნარები შესამჩნევად გაძლიერდა. მერე უკვე გაეროს ქალთა ორგანიზაციის გრანტიც მივიღე, რაც ფინანსურადაც ძალიან დამეხმარა. ამ თანხით კონდიციონერები შევიძინე, სისტემა მთლიანად გავმართე და Casa Calda-ში პირველ სტუმრებს 2019 წლის თებერვალში ვუმასპინძლე.

ჩემს ცხოვრებას ახლა სულ სხვა მუხტი აქვს. ვხვდები, რომ ამ გადაწყვეტილებით დიდი ნაბიჯი გადავდგი: ვმართავ ბიზნესს, რომელიც მომგებიანია. ტურისტები რეკლამის გარეშე მოდიან ჩემთან და ვფიქრობ, ეს დიდი კონკურენციის პირობებში ახალბედა სასტუმროსთვის უკვე წარმატებაა.

ეკონომიკური დამოუკიდებლობა და ბიზნესის წარმოება ძალიან გცვლის: გადაწყვეტილებებს თავად იღებ, შინაგანად კიდევ უფრო იხსნები და ხვდები, რომ სრულიად განსხვავებული შესაძლებლობები გიჩნდება. საკუთარ თავს რომ ვუყურებ, ძალიან ამაყი ვარ, თუმცა ვიცი, კიდევ უფრო მეტის გაკეთება შემიძლია. ჯერ ბევრი რამ მაქვს დასახვეწი. მინდა, სასტუმროს რამდენიმე ნომერი დავამატო და საკონფერენციო სივრცე მოვაწყო. გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტით იტალიაში, ტოსკანაში ვიყავი და დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით დავბრუნდი. მსურს, ნანახი ქართულ რეალობაშიც გადმოვიტანო. მაგალითად, ეზოში მარანი გავაკეთო, დეგუსტაციები მოვაწყო და ღვინის ტურიზმი

> ”ეკონომიკური დამოუკიდებლობა და ბიზნესის წარმოება ძალიან გცვლის: გადაწყვეტილებებს თავად იღებ, შინაგანად კიდევ უფრო იხსნები და ხვდები, რომ სრულიად განსხვავებული შესაძლებლობები გიჩნდება.“

განვავითარო. მიღწეულზე გაჩერება არ მიყვარს. ყოველდღე ვკითხულობ, სიახლეებს ვიძიებ, რომ ინოვაციები დავნერგო.

სასტუმროს გახსნის შემდეგ მე და ჩემმა დამ დედაც აქ დავასაქმეთ. როდესაც ბევრი სტუმარი მყავს, ორი ქალი კიდევ მეხმარება, თუმცა ქალების გაძლიერება მხოლოდ ამით არ მინდა შემოიფარგლოს. ვაპირებ, სოფლის მეურნეობის პროდუქტები, რომლებიც სასტუმროში მჭირდება, ქალი მომწოდებლებისგან შევიძინო, მათ შორის იმ მეწარმეებისგან, რომლებიც პროექტით გავიცანი. ეს ჩემი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გეგმაა, რომელსაც აუცილებლად განვახორციელებ.



„ჩემზე ერთ-ერთი წარუშლელი შთაბეჭდილება მონაწილე ქალებმა მოახდინეს. მათგან უდიდესი ემოციური მხარდაჭერა მივიღე. ძალიან გამიკვირდა, როცა გავიგე, რამდენ რამეს აკეთებდნენ და უმკლავდებოდნენ ისინი. თითოეული მათგანის საქმიანობისა და წარმატების მიღმა ბრძოლის ისტორიები იდგა, რომელთა მოსმენამ ჩემზე დიდი კვალი დატოვა“.

თინა დავაძე

26 წლის, იმერეთი, ხარაგაული, ხელნაკეთი აქსესუარების ბრენდი „ლაშე“, დამფუძნებელი

2 წლის წინ, როცა გერმანიიდან საქართველოში ვბრუნდებოდი, ყველაზე მეტად ჩემს პროფესიაზე ვღელავდი. არქიტექტურის რესტავრატორი ვარ და ემიგრაციაში წასვლამდე სპეციალობით ვმუშაობდი, თუმცა სულ იმას მეუბნებოდნენ, გოგო ხარ და ოფისში უნდა იყო, ან მსუბუქი, აზომვითი სამუშაოები შეასრულოო. არადა, მე უშუალოდ რესტავრაციის პროცესსა და სტრატეგიულ გადაწყვეტილებებში მონაწილეობა მინდოდა. გერმანიაში ამ სტერეოტიპს გავექეცი, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ იქ პროფესიულად რეალიზებული ვიყავი, ოჯახისა და ქვეყნისგან შორს ყოფნა ძალიან გამიჭირდა.

საქართველოში დაბრუნებულმა უკვე ვიცოდი, რომ რესტავრატორად მუშაობას კვლავ იგივე დამოკიდებულება მოჰყვებოდა, ამიტომ გადავწყვიტე, ტყავისგან ხელნაკეთი ნივთები დამემზადებინა. მამას მარანი სახელოსნოდ ვაქციე და ჩემი პირველი ნამუშევარი — ბლოკნოტი შევქმენი. მერე კი უკვე ჩანთების კერვაც დავიწყე. თავიდანვე ჩავიფიქრე, რომ ყველა მათგანი ექსკლუზიური და დასამახსოვრებელი ყოფილიყო, ბრენდს კი სახელად „ლაშე“ დავარქვი.

დაახლოებით 3 კვირაში გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის შესახებ გავიგე და ჩავერთე კიდეც. ყოველთვის შემოქმედებითი საქმიანობით ვიყავი დაკავებული და ბიზნესის წარმოებასა თუ გაყიდვებზე წარმოდგენაც არ მქონდა. ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ტრენინგებით კარგი თეორიული ცოდნა მივიღე. მერე გამიმართლა და ჩემმა იდეამ გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტისგან დაფინანსებაც მოიპოვა. ამ გრანტით ტყავის საკერავი მანქანა, განათების მოწყობილობა და ამოსაწვავი აპარატი შევიძინე. შედეგად, ხელით შრომა შემიმსუბუქდა. მაგალითად, ადრე თუ ერთი ნივთის შესაქმნელად 5 საათი მჭირდებოდა, ახლა ეს დრო 1,5 საათამდე შემცირდა. უკვე შემიძლია, ექსპერიმენტები ვცადო, განსხვავებული აქსესუარები შევქმნა და პროდუქციის არჩევანი გავზარდო.

პარალელურად, გაეროს ქალთა ორგანიზაციის კიდევ ერთ ინიციატივაში ჩავერთე და ვებპროგრამირება და სოციალური მედია მარკეტინგი უფასოდ შევისწავლე. ფეისბუქზე ჩემი სახელოსნოს გვერდი შევქმენი, სადაც ნივთებს ინტერნეტით ვყიდი. კურსმა გაყიდვების ეფექტიანი მართვა და რეკლამირებაც მასწავლა.

იმ ცვლილებებზე, რომლებიც პროექტმა მომიტანა, ხშირად ვფიქრობ. ჩემზე ერთ-ერთი წარუშლელი შთაბეჭდილება მონაწილე ქალებმა მოახდინეს. მათგან უდიდესი ემოციური მხარდაჭერა მივიღე. ძალიან გამიკვირდა, როცა გავიგე, რამდენ რამეს აკეთებდნენ და უმკლავდებოდნენ ისინი. თითოეული მათგანის საქმიანობისა და წარმატების მიღმა ბრძოლის ისტორიები იდგა, რომელთა მოსმენამ ჩემზე დიდი კვალი დატოვა. მიზანდასახულობა და გამბედაობა შეხვედრიდან შეხვედრამდე მემატებოდა.

ბოლოს იმდენად თავდაჯერებული გავხდი, რომ ბავშვობის ოცნებაც ავისრულე. საბრძოლო ხელოვნების სწავლა ყოველთვის მინდოდა, მაგრამ ვერ ვბედავდი, იმიტომ რომ ჩემ ირგვლივ ამ სპორტზე მხოლოდ ბიჭები დადიოდნენ. პროექტი ჯერ კიდევ მიმდინარეობდა, როცა კარატეს გაკვეთილებზე თამამად მივედი და ვარჯიშიც დავიწყე. სხვათა შორის, სხვა გოგოებიც შემომიერთდნენ, ახლა უკვე სამნი ვართ და სკეპტიკურად აღარავინ გვიყურებს.

საბოლოოდ, ამ პროექტმა ჩემი ცნობიერება შეცვალა. ახლა ზუსტად ვიცი, რა მინდა და დარწმუნებული ვარ, რომ მისი გაკეთება ნამდვილად შემიძლია. მანამდე ქალების უფლებებზე ნაფიქრიც არ მქონდა, დღეს მათ შესახებ გაცილებით მეტი ვიცი და თანასწორობის მნიშვნელობაც ღრმად მაქვს გათავისებული. უკვე დარწმუნებული ვარ, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც თავის დროზე მეუბნებოდნენ, გოგო ხარ და რესტავრატორად როგორ გამუშაოო, ახლა სულ სხვაგვარად ვუპასუხებდი და სტერეოტიპებსაც მარტივად გავუმკლავდებოდი.

> ”ახლა ზუსტად ვიცი, რა მინდა და დარწმუნებული ვარ, რომ მისი გაკეთება ნამდვილად შემიძლია.“



„კონსულტაციებს ბევრ ქალს ვუწევ. ვურჩევ, რომ საკუთარი საქმიანობა წამოიწყონ. „დამაფინანსებენ“?- ყველაზე ხშირად ამ კითხვას მისვამენ ხოლმე. მე კი ყოველთვის ვეუბნები, რომ აუცილებლად სცადონ და ეკონომიკურად გაძლიერდნენ, რადგან ეკონომიკურად ძლიერი ქალები საკუთარ თავებს, ოჯახებსა და მთლიანად საზოგადოებას აძლიერებენ“.

ნონა გვაძაბია

53 წლის, იმერეთი, ქუთაისი, ხელნაკეთი აქსესურების ბრენდი „უზარელი“, დამფუძნებელი

აფხაზეთში, გულრიფშის რაიონში გავიზარდე და როგორც ბევრი იქაურისთვის, ჩემთვისაც 1993 წლის 27 სექტემბერი ყველაზე მძიმე დღეა. იმ ღამეს ომმა მშობლიური სახლი სამუდამოდ დამატოვებინა. არასდროს დამავიწყდება სროლებით განათებული ცა, გამაყრუებელი გრუხუნი და პანიკაში მყოფი ადამიანები, რომლებიც ბარგს ალაგებდნენ, სადღაც გარბოდნენ, თავშესაფარს ეძებდნენ. მამა ლოგინად იყო ჩავარდნილი, ამიტომ დედა მე და ჩემს დებს გვეხვეწებოდა, ჩვენ დავრჩებით, თქვენ კი გაიქეცითო. სხვებიც გვეუბნებოდნენ, რა დროს ავადმყოფის წაყვანააო, მაგრამ მშობლებს ვერ დავტოვებდით. ბოლოს ახლობელმა ტრაქტორი შემოგვაშველა და მთელმა ოჯახმა სამშვიდობოს ძლივს გამოვაღწიეთ.

ჩვენი ზღვისპირა სახლიდან მხოლოდ რამდენიმე ფოტოს წამოღება შევძელი. მას შემდეგ იქაურობა აღარ მინახავს. სამეგრელოში, სოფელ რუხში, სადაც ნათესავები გვყავდა, ორი დღის შემდეგ ჩამოვაღწიეთ. მაშინ 28 წლის ვიყავი და ახალ ცხოვრებას დევნილობაში ვიწყებდი.

რუსეთში, ქალაქ ივანოვოში საფეიქრო ინსტიტუტი და სენაკის ხალიჩების კომბინატის სასწავლებელი მქონდა დამთავრებული. სკოლის შემდეგ კარგი განათლება მივიღე, მაგრამ როდესაც ივანოვოდან დავბრუნდი, აფხაზეთში უკვე რთული მდგომარეობა დამხვდა, მალე ომიც დაიწყო და პროფესიით მუშაობა ვერ შევძელი. სამეგრელოდან მე და ჩემი და საცხოვრებლად ქუთაისში გადმოვედით. აფხაზეთიდან დევნილები ადგილობრივმა ელექტრომექანიკურმა ქარხანამ დაგვასაქმა: საერთაშორისო ჰუმანიტარულმა ორგანიზაციამ საქსოვი მანქანა მომცა და ხალიჩების ქსოვა დავიწყე, თუმცა უმძიმესი პერიოდი იყო. ხალხი პურის ყიდვას ძლივს ახერხებდა, ჩემს ხალიჩებს ვინ შეიძენდა?

წლების შემდეგ თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მათ შორის „აფხაზინტერკონტთან“ დავიწყე. პერიოდულად საქსოვზე კერძო შეკვეთები ჰქონდათ ხოლმე და მათზე ვმუშაობდი. გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის შესახებაც „აფხაზინტერკონტისგან“ გავიგე. პირველად განაცხადის გაკეთება ვერ გავბედე, მაგრამ როცა გაეროს ქალთა ორგანიზაციის პარტნიორთან, საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან საინფორმაციო შეხვედრაზე მივედი, მივხვდი, შესაძლებლობები რეალური იყო და ცდა გადავწყვიტე.

უკვე წლებია, ვქსოვ და ჩემს მეუღლესთან ერთად, რომელიც მხატვარ-დიზაინერია, ტყავისგან ხელნაკეთ აქსესუარებსაც ვამზადებ. მიუხედავად ამისა, რეგისტრირებული ბიზნესი არასდროს მქონია, ეს ვერც წარმომედგინა. თუმცა, პროექტში მონაწილეობის შემდეგ შევძელი ის, რასაც ვერასდროს ვბედავდი: საგადასახადო და საბუღალტრო სფეროებში გავერკვიე, საქმიანობა მოვაწესრიგე და თავდაჯერებული გავხდი. ჩემი ბრენდი „უზარელი“ შევქმენი, მიკრომეწარმედ დავრეგისტრირდი და ტრენინგებზე შეძენილი უნარების დახმარებით, ბიზნესს უკვე თავად ვაწარმოებ. ვხედავ, რომ წინ მივდივარ და სხვა პროექტებში მონაწილეობასაც თამამად გავბედავ.

მიღებული გრანტით ის საოცნებო ტყავის საკერავი და საქსოვი მანქანები შევიძინე, რომლებიც ძალიან მჭირდებოდა. ახლა შემიძლია, ტყავის პროდუქცია გავამრავალფეროვნო, მაგალითად, სხვადასხვა ზომის ჩანთებიც შევკერო, შრომა გავიმარტივო და ფასები დავარეგულირო. რაც შეეხება ქსოვას, აქამდე ჩემს ძველ მანქანას სპეციალური წვრილი ძაფი სჭირდებოდა, რომელიც მხოლოდ თბილისში იყიდებოდა, თანაც, დეფიციტური იყო და, ბუნებრივია, ეს მუშაობაში პრობლემას მიქმნიდა. ახალი კი მსხვილი ძაფებით ქსოვს და მისთვის ნედლეულის შეძენა გაცილებით მარტივია. ჩემს ნაწარმს რეალიზაციისთვის პატარა მაღაზიებში ვაბარებ, თუმცა ვიცი, რომ ონლაინგაყიდვების სისტემის აწყობა ძალიან მჭირდება და ამ მიმართულებით აუცილებლად ვიმუშავებ.

> ”პროექტში მონაწილეობის შემდეგ შევძელი ის, რასაც ვერასდროს ვბედავდი: საგადასახადო და საბუღალტრო სფეროებში გავერკვიე, საქმიანობა მოვაწესრიგე და თავდაჯერებული გავხდი.“

> ”ვხედავ, რომ წინ მივდივარ და სხვა პროექტებში მონაწილეობასაც თამამად გავბედავ.“

პროექტებში მონაწილეობის შესახებ კონსულტაციებს ბევრ ქალს ვუწევ. ვურჩევ, რომ საკუთარი საქმიანობა წამოიწყონ. „დამაფინანსებენ“?- ყველაზე ხშირად ამ კითხვას მისვამენ ხოლმე. მე კი ყოველთვის ვეუბნები, რომ აუცილებლად სცადონ და ეკონომიკურად გაძლიერდნენ, რადგან ეკონომიკურად ძლიერი ქალები საკუთარ თავებს, ოჯახებსა და მთლიანად საზოგადოებას აძლიერებენ.

„ირგვლივ უამრავი ემიგრანტი ქალია წასული. ჩემი ფერმის გაფართოებისა და ახალი გეგმების რეალიზების ერთ-ერთი მიზანია, ეს ქალები შეძლებისდაგვარად დავაბრუნო და დავასაქმო“.

ქეთევან თომეიშვილი

47 წლის, იმერეთი, ვანი, სოფელი მთისძირი, „ქეთის ფერმა“, დამფუძნებელი

33 წლის ვიყავი, როდესაც ქმარს გავშორდი და მცირეწლოვან შვილთან ერთად, სოფელში, მშობლებთან დავბრუნდი. იმ პერიოდში ჩემმა დამ მძიმე ოპერაცია გადაიტანა, ამიტომ ფინანსურად ძალიან გაგვიჭირდა: ზოგჯერ საბავშვო ბაღში კვების ფულს, 5 ლარსაც კი ვერ ვიხდიდი. ემიგრაციაში წასვლაზე ვფიქრობდი, მაგრამ დედა წინააღმდეგი იყო: ხალხი რას იტყვის, სირცხვილიაო. თუმცა, ერთხელაც, როცა ჩემი შვილი დახეული ფეხსაცმლის გამო სახლში სველი ფეხებით მოვიდა, გადაწყვეტილება რამდენიმე საათში მივიღე, თბილისში ჩამოვედი და ემიგრაციაში წავედი.

საქართველოში 14 წლის მერე დავბრუნდი. რა თქმა უნდა, მთელი ეს პერიოდი ურთულესი იყო. მხოლოდ იმან გადამატანინა, რომ ვიცოდი, ჩემს შვილს აღარ შიოდა. როცა ძალიან მიჭირდა, მახსენდებოდა, რომ მარტოხელა დედა ვიყავი და ეს მაძლიერებდა. თუმცა, მარტივი არც ჩამოსვლა აღმოჩნდა: სულ სხვა გარემო და კულტურა დამხვდა, თავს გაუცხოებულად ვგრძნობდი. მე და დედას 1 წელი დაგვჭირდა, რომ ერთმანეთს ისევ შევგუებოდით.

დაბრუნებისთანავე გადავწყვიტე, ჩემი საქმიანობა წამომეწყო. თანაც ისეთი, წელიწადის ნებისმიერ დროს რომ იმუშავებდა. მახსოვს, ქუთაისში მივდიოდი, როცა გზად სათბურები და მათ ირგვლივ მოფუსფუსე ადამიანები დავინახე. მანქანა გავაჩერე და მივედი. იმ დღიდან ამ თემით დავინტერესდი, სხვადასხვა რეგიონში მეურნეობები

მოვიარე, ყველაფერს გავეცანი. როცა სამეგრელოში, სოფელ ცაიშში მოვხვდი, კიტრის ერთ-ერთ ჯიშს, „ევოლუციას“ წავაწყდი. „ევოლუცია“ უგემრიელესი, მაგრამ ძალიან რთული მოსაყვანია, თუმცა ამ სირთულემ მომხიბლა და მიმახვედრა, რომ ჩემი მომავალი საქმე სწორედ ეს იყო.

სოფელში დაბრუნებულმა ორი სათბურის ნახაზები საკუთარი ხელით შევქმენი. სამშენებლო მასალებზეც თავად დავდიოდი. არადა, იქ სულ კაცები მუშაობდნენ და ქალს რომ მხედავდნენ, უკვირდათ. ზოგი ეჭვით მიყურებდა: ამას აქ რა უნდა, მაინც არაფერი გამოუვაო, მაგრამ რამდენიმე თვეში 2 სათბური გავმართე და პირველივე წელს 5 ტონა კიტრი მოვიყვანე. მერე დისტრიბუტორების სქემაც ავაწყვე, მიღებული მოგებით კი გავფართოვდი და სათბურები კიდევ დავამატე.

როცა გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და საქართველოს ფერმერთა ასოციაციის პროექტში ჩავერთე, ურთულეს მდგომარეობაში ვიყავი. იმ პერიოდში მცენარე დამიავადდა, რა აღარ ვცადე, მაგრამ ვერაფერი ვუშველე. აგრონომს, რომელმაც მოსავალი გადამირჩინა, სწორედ ფერმერთა ასოციაციამ დამაკავშირა. მერე პროექტის გრანტიც მივიღე და ამ თანხით ტენის მარეგულირებელი, ძვირადღირებული მოწყობილობის შეძენა შევძელი. იგი მეხმარება, სასათბურე პირობები ისე დავარეგულირო, რომ მცენარე არ დამიავადდეს. ახლა ჩემი მოსავალი უკვე 4 ტონითაა გაზრდილი, წამალში თანხა არ მეხარჯება, ნაყოფიც ჯანმრთელი და ეკოლოგიურად სუფთაა. უკვე მინდა, შესაბამისი სერტიფიკატიც ავიღო და კიტრი ევროპულ ბაზარზე გავიტანო, რაშიც ისევ ფერმერთა ასოციაცია მეხმარება.

სულ 5 სათბური მაქვს. ჩემთან მუდმივად 5 ქალი და 2 კაცი მუშაობს, თუმცა მეც სულ ჩართული ვარ. მათთან ერთად ვშრომობ, სხვაგვარად არ შემიძლია. არადა, საქართველოში ამბობენ ხოლმე, ქალს სათბურში რა

> საქართველოში ამბობენ ხოლმე, ქალს სათბურში რა უნდაო. ფერმაც კაცების საქმედ მიიჩნევა და ზოგჯერ ამას პირდაპირ მეუბნებიან კიდეც.

უნდაო. ფერმაც კაცების საქმედ მიიჩნევა და ზოგჯერ ამას პირდაპირ მეუბნებიან კიდეც. ალბათ, ამგვარი დამოკიდებულებაცაა იმის მიზეზი, რომ ვანში ერთადერთი მეწარმე ქალი ვარ, რაც ძალიან ცუდია.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტმა საკუთარი თავის იმედი გამიძლიერა. ადრე მეშინოდა, ახლა კი ეს შიშიც გამიქრა, ნაბიჯებს განვითარებისკენ უფრო თამამად ვდგამ. უკვე 2 საწიწილე ფერმა მაქვს, ღორები და ძროხები მყავს, ალუჩისა და ტყემლის ბაღებიც გავაშენე. ეს ყველაფერი კიტრის სათბურებმა შემაძლებინა. მსურს, მარანი და პატარა დასასვენებელი შატოც გავხსნა, რომელიც სტუმრებს ეკოლოგიურად სუფთა საკვებით გაუმასპინძლდება. აეროპორტი ახლოსაა და ვფიქრობ, ტურისტებიც ბევრი მეყოლება.

გოგოები ერთმანეთსაც ვეხმარებით და ამით ჩვენს საქმიანობებსაც ვაძლიერებთ. აი, მაგალითად, სათბურის ღუმელისთვის თხილის ნაჭუჭი მჭირდებოდა და ის მარი კოდუასგან შევიძინე, რომელიც სწორედ ამ პროექტით გავიცანი. მასთან თანამშრომლობას კვლავაც ვგეგმავ.

კიდევ ერთი სურვილი მაქვს: ჩემი გზა ემიგრაციაში სხვა ქალებმა აღარ გაიარონ. ირგვლივ უამრავი მათგანია წასული. ფერმის გაფართოებისა და ახალი გეგმების რეალი-

> თუ ეკონომიკურად ძლიერი ქალები ბევრნი ვიქნებით, სხვა ქალებზე მეტად ვიზრუნებთ.

ზების ერთ-ერთი მიზანი ისიცაა, რომ ისინი შეძლებისდაგვარად დავაბრუნო და დავასაქმო. თუ ეკონომიკურად ძლიერი ქალები ბევრნი ვიქნებით, სხვა ქალებზე მეტად ვიზრუნებთ.

„მინდა, ჩემი ისტორია სხვა ქალებისთვისაც მოტივაციად იქცეს, რადგან ეკონომიკაში ქალების ჩართულობა ქვეყნის განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივაა“.

მარიამ ცხოვრებაშვილი

44 წლის, იმერეთი, ტყიბული, სამკერვალო სალონი „მარიამის ატელიე“, დამფუძნებელი

კერვა ბავშვობიდან ჩემი ყოველდღიურობის ნაწილი იყო. ოჯახში ბებიაც კერავდა და - მამიდებიც. მეც მათგან ვისწავლე. სტუდენტობის დროს სულ საკუთარი ხელით შექმნილი სამოსი მეცვა ხოლმე. თარგებს იმდროინდელი მოდის ჟურნალებიდან ვიღებდი და თანამედროვე დიზაინით ვკერავდი.

მშობლიური ახალციხიდან ტყიბულში დაქორწინების შემდეგ გადმოვედი. შეკვეთების მიღებაც სწორედ აქ დავიწყე. თავდაპირველად ძალიან ძველი მანქანით ვმუშაობდი, ისიც მეგობარმა მათხოვა. მახსოვს, განსაკუთრებული პოპულარობა წითელმა პალტომ მომიტანა, რომელიც ერთ თინეიჯერ გოგოს შევუკერე. ყველა კითხულობდა, ვისი ნახელავიაო. თანდათან მსურველების რიცხვმაც მოიმატა, ამიტომ გადავწყვიტე, ფართი მექირავებინა და მეწარმედ დავრეგისტრირებულიყავი.

პარალელურად, იმასაც მივხვდი, რომ თანამედროვე მოწყობილობები მჭირდებოდა, ამიტომ როცა სამთავრობო პროექტმა „აწარმოე საქართველოში“ დამაფინანსა, ახალი მანქანა შევიძინე. იგი ქსოვილს გაცილებით მაღალი ხარისხით ამუშავებდა და კიდევ უფრო დახვეწილ სამოსს ქმნიდა. მალე „მარიამის ატელიესთვის“ ჩემი სახლის გვერდით ფართიც შევიძინე და შესაბამისად მოვაწყვე.

ამასობაში, გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტიც წამომეწია. მისი დახმარებით, უამრავი მოტივირებული ქალი გავიცანი და ძალიან სასარგებლო ტრენინგებიც გავიარე. სამწუხაროდ, ტყიბულში ახალი ცოდნის მიღება რთულია და ბედნიერი ვიყავი, რომ ეს შესაძლებლობა მომეცა. ამ შეხვედრების შემდეგ ჩემი სამუშაო სულ სხვაგვარად დავინახე, ფინანსური მხარეც განსხვავებულად დავაბალანსე, ყოველი თვე გადავიანგარიშე, 1 კაბის ფინანსური ღირებულება შევაფასე. მოკლედ, საქმიანობას მართლაც ბიზნესის თვალით შევხედე.

აღმოჩნდა, რომ ჩემმა იდეამ პროექტის გრანტიც მიიღო, რითაც ძალიან მნიშვნელოვანი მოწყობილობები — საქარგავი და სწორი გვირისტის მანქანები, ასევე, სპეციალური უთო ვიყიდე. მათი დახმარებით წარმოება გამეზარდა, იგი უფრო მრავალფეროვანი, ხარისხიანი და თანამედროვე გახდა, შრომა კი შემიმსუბუქდა და დროც დამეზოგა. ამას გარდა, პროექტი ბრენდირებაში დამეხმარა და უკვე ახალი ლოგოც მაქვს. ძალიან მინდა, საქორწინო კაბების შეკერვა უფრო ინტენსიურად დავიწყო და თან გავფართოვდე კიდეც. ჯერჯერობით ორი ქალი მყავს დასაქმებული, თუმცა თუ ჩემი ატელიე გაიზრდება, ეს რიცხვიც მოიმატებს.

ტანსაცმელთან ერთად, მომხმარებლებს ჩანთებსა და სხვა აქსესუარებსაც ვთავაზობ. ფასებიც ისეთი მაქვს, რომ ადგილობრივები გასწვდნენ. ჩემთვის ადამიანების კმაყოფილება ერთ-ერთი მნიშვნელოვნი პრიორიტეტია. არაფერი მირჩევნია იმის ნახვას, როცა ისინი ბედნიერი ღიმილით მიდიან. ტყიბული რაღაცნაირად ნაცრისფერი ქალაქია და ვფიქრობ, ჩემს ატელიეს მასში სიახლე და ფერები შემოაქვს. სამოსს, რომელსაც ვკერავ, ნაცრისფერი ქალაქის მაქმანებს ვუწოდებ ხოლმე. ვოცნებობ, დეფილე მოვაწყო და რომელიმე მიტოვებული ადგილი ჩემი კაბებით გავაფერადო.

5 შვილი მყავს. მათ აღზრდაში მხოლოდ ჩემი მეუღლეა ჩართული. ამ პირობებში საკუთარი საქმის დაწყება მარტივი არ იყო, მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც გავბედე, მიზანს გავყევი და დღეს ჩემი შემოსავლით ოჯახს ვეხმარები, ბიზნესს წარმატებით ვმართავ. ეს ძალიან მაგარი შეგრძნებაა. ხშირად უკვირთ ხოლმე, რომ ხუთშვილიანი დედა საქმეს ასე ვუძღვები. ძალიან მინდა, ჩემი ისტორია სხვა ქალებისთვისაც მოტივაციად იქცეს, რადგან ეკონომიკაში ქალების ჩართულობა ქვეყნის განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივაა. სწორედ ჩვენ, მეწარმე ქალები ვქმნით დოვლათს და რაც უფრო ბევრნი ვიქნებით, ეკონომიკური წინსვლაც მეტად მასშტაბური გახდება.

„საკუთარი საქმის დაწყება მარტივი არ იყო, მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც გავბედე, მიზანს გავყევი და დღეს ჩემი შემოსავლით ოჯახს ვეხმარები, ბიზნესს წარმატებით ვმართავ. ეს ძალიან მაგარი შეგრძნებაა.“



„ჩემი მაგალითი ადასტურებს, რომ ბიზნესის დაწყება ყველა ასაკშია შესაძლებელი... ახლა მინდა, იგივე სხვა ქალებმაც სცადონ“.

ირმა ჩხაიძე

51 წლის, გურია, ჩოხატაური, სოფელი ზემო ფარცხმა, პურის საცხობის დამფუძნებელი

50 წლის ისე გავხდი, არასდროს მიმუშავია, მხოლოდ საშინაო საქმეებით ვიყავი დაკავებული. ჩემი ცხოვრება მას შემდეგ შეიცვალა, რაც ოჯახით თბილისიდან საცხოვრებლად სოფელში დავბრუნდი. სამთავრობო პროექტმა „აწარმოე საქართველოში“ დამაფინანსა და სახლში საცხობი გავხსენი.

მეუღლე კვების ტექნოლოგია და პურს ყოველთვის აცხობდა. მეც ეს საქმე მისგან ვისწავლე, თუმცა ახალბედობის მიუხედავად, თავიდანვე კარგად ავეწყვე. ნათესავ გოგოსთან ერთად, ხაჭაპურებს, ლობიანებს, ფუნთუშებს, ნამცხვრებს ვამზადებდი და სკოლებს ვამარაგებდი. მერე ისევ „აწარმოე საქართველოში“ შევიტანე განაცხადი, გრანტი კიდევ მოვიგე, გავფართოვდი და უკვე რუხი პურის წარმოებაც დავიწყე. გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის შესახებ სწორედ მაშინ გავიგე. ისე მოხდა, რომ ჩემი, როგორც მეწარმის, გააქტიურება და ამ ინიციატივაში ჩართვა ერთმანეთს დაემთხვა.

> ძალიან შთამბეჭდავი იყო, როცა 50 წლის ასაკში საჯაროდ პირველად გამოვედი სიტყვით. ეს ჩემთვის ბევრს ნიშნავდა.

პროექტმა უდიდესი მოტივაცია მომცა: საინტერესო შეხვედრებსა და ტრენინგებს დავესწარი, საოცარი ქალები გავიცანი, კომუნიკაბელური გავხდი და საკუთარი ნაწარმი გამოფენებზე წარვადგინე. ძალიან შთამბეჭდავი იყო, როცა 50 წლის ასაკში საჯაროდ პირველად გამოვედი სიტყვით. ეს ჩემთვის ბევრს ნიშნავდა.

პროექტში მიღებული დაფინანსებით ახალი, მრავალფუნქციური ღუმელი შევიძინე. მისი დახმარებით, არა მარტო რუხს, არამედ უკვე სხვადასხვა სახეობას, მათ შორის თეთრ პურსაც გამოვაცხობ. ამ ღუმელს წარმადობა მეტი აქვს და შრომასაც ძალიან ამსუბუქებს. თუ აქამდე ყოველდღე 800-მდე პურს ვაცხობდი, ახლა შემეძლება, ეს რიცხვი 2000-მდე გავზარდო.

პური ცოცხალი არსებაა. ყველაფერი — ცომის მოზელა, ფორმებში ჩაწყობა თუ გამოცხობა თავის დროზე სჭირდება. თანაც, პატარა ბავშვივით უნდა ეფერო, ყველაფერი გულით გააკეთო, სხვაგვარად არ გამოგივა. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ პური, რომელსაც ვაცხობ, ეკოლოგიურად სუფთაა და დანამატების გარეშეა. ხარისხს განსაკუთრებით ვაკონტროლებ, ვიზუალურად ოდნავადაც რომ არ მომეწონოს, გასაყიდად არ ვატან. ეს პროდუქტი ჩემი სახელით გადის, ამიტომ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ვგრძნობ.

ახლა პურს მაღაზიებში ვაბარებ, მაგრამ მოთხოვნა იმდენად დიდია, რომ ვერ ავუდივარ. ცხელ-ცხელი „ფარცხმის პური“, როგორც მას ხშირად უწოდებენ ხოლმე, ძალიან მოსწონთ. სამომავლოდ მინდა, ფუნთუშეული და ნამცხვრები ისევ დავამატო, ჩოხატაურში კი 2 სარეალიზაციო ჯიხური გავხსნა, სადაც სხვა ქალებსაც დავასაქმებ.

ჩემი მაგალითი ადასტურებს, რომ ბიზნესის დაწყება ყველა ასაკშია შესაძლებელი. გვიან არასდროსაა. მე ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ამხელა პროექტებში გავიმარჯვებდი, მეწარმეობა წარმატებით გამომივიდოდა. ახლა მინდა, იგივე სხვა ქალებმაც შეძლონ. საქართველოში ისეა, რომ ხშირად ისინი ემიგრაციაში მიდიან და ოჯახებს წყდებიან. თუ მათ ადგილზე ექნებათ საკუთარი საქმის დაწყებისა და სხვების და-

> ქალები ბიზნესში ხომ მრავალფეროვნებას, დოვლათს, ხარისხსა და სხვა ქალების გაძლიერების ნიშნავს.

საქმების შესაძლებლობა, ბევრის ცხოვრება შეიცვლება. ქალები ბიზნესში ხომ მრავალფეროვნებას, დოვლათს, ხარისხსა და სხვა ქალების გაძლიერების ნიშნავს.

„ჩემთვის ჩაის წარმოება სოციალური პროექტიცაა, რომელიც შემოსავლის წყაროს სხვა ადამიანებსაც უჩენს. მართლაც, „ჩანიტი“ ბევრი ადგილობრივისთვისაა იმედი“.

ნანა მელაშვილი

56 წლის, გურია, ოზურგეთი, სოფელი დვაბზუ, ჩაის ბრენდი „ჩანიტი“, დამფუძნებელი

ჩაი გურიისთვის ტრადიციული კულტურაა. სამწუხაროდ, 170-წლიანი ისტორიის მიუხედავად, ახლა მას ძველი მნიშვნელობა და აღიარება აღარ აქვს. თუმცა, პირადად ჩემთვის იგი ყოველთვის ბევრს ნიშნავდა და ამჟამადაც ასეა. ალბათ, განსაკუთრებული დამოკიდებულება იმითაცაა განპირობებული, რომ დიდი ხანია ამ სფეროში ვარ. სტუდენტობის შემდეგ სოფელ ლიხაურის ჩაის ფაბრიკაში დავიწყე მუშაობა. ჯერ ტექნიკური ლაბორატორიის გამგე, მერე კი დირექტორი ვიყავი. 9 წლის წინ საკუთარი საწარმოც გავხსენი, რომელმაც მაშინ ბაზარზე პირველი დაფასოებული ქართული ჩაი გამოიტანა. სამწუხაროდ, იმ დროს საქმიანობაში ხელი ავადმყოფობამ შემიშალა. სიმსივნე აღმომაჩნდა და იძულებული გავხდი, მუშაობა შემეჩერებინა. თუმცა, წლების შემდეგ, როცა დაავადება დავამარცხე და ახალი ცხოვრება დავიწყე, ჩაის ისევ დავუბრუნდი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ვმუშაობდი, როდესაც სამთავრობო პროექტი „აწარმოე საქართველოში“ დაიწყო. 5 მეზობელი ქალი შევკრიბე, კოოპერატივი ჩამოვაყალიბე, ჩაის წარმოებაზე საგრანტო განაცხადი შევიტანე და მოვიგე კიდეც. მერე ამ თანხით საჭირო დანადგარები შევიძინე და ჩაის ჩაბარება-დახარისხება დავიწყე.

ამჟამად კლასიკური ტექნოლოგიით ეკოლოგიურად სუფთა, ორი ხარისხის შავ ჩაის ვამზადებ, თუმცა გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის გრანტით უკვე ახალი დანადგარიც მაქვს. იგი დამეხმარება, ჩაი რამდენიმე ხარისხად გადავარჩიო, კატეგორიებად დავყო და მომხმარებელს სხვადასხვა სეგმენტი შევთავაზო. კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი ჩემი პროდუქტის ბრენდირებაა, რომელშიც ასევე პროექტი დამეხმარა. ვგეგმავ, „ჩანიტი“ შესაბამისი შეფუთვით საცალო ბაზარზე დაფასოებული სახით გავიტანო და უფრო მაღალ ფასად გავყიდო, რაც მოგებასაც გამიზრდის. სხვათა შორის, მოლაპარაკებები მაქვს პროექტის ერთ-ერთ მონაწილესთან, ნათია ჩახუნაშვილთან, რომელსაც ქუთაისში, „თეთრი სახლის ბურგერში“ ჩაის დამატება სურს და აპირებს, არჩევანი სწორედ „ჩანიტზე“ შეაჩეროს.

ჩემთვის ჩაის წარმოება სოციალური პროექტიცაა, რომელიც შემოსავლის წყაროს სხვა ადამიანებსაც უჩენს. მართლაც, „ჩანიტი“ ბევრი ადგილობრივისთვისაა იმედი. ჩაის ფოთოლს 14-მდე ოჯახი გვაბარებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი კოოპერატივი მათაც ასაქმებს. წელს უკვე 5 ტონამდე ფოთოლი მივიღეთ, ეს კი შარშანდელთან შედარებით 3 ტონით მეტია. ადამიანებს, რომლებიც ასეთ ზრდას ხედავენ, სტიმული ეძლევათ, რომ გურიაში ჩაის ტრადიცია აღადგინონ და შემოსავალი ამ კულტურით მიიღონ. სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც კოოპერატივი წარმატებულ საქმედ იქცა, მთელი სოფელი უფრო მეტი პატივისცემით გვიყურებს. ჩვენს ამბავს კითხულობენ, დახმარებას გვთავაზობენ. ამბობენ ხოლმე, „ნახეთ, რა ქნეს ამ ქალებმაო“. ეს ხომ სხვა ქალებისთვისაც კარგი მაგალითია?

> „მას შემდეგ, რაც კოოპერატივი წარმატებულ საქმედ იქცა, მთელი სოფელი უფრო მეტი პატივისცემით გვიყურებს. ჩვენს ამბავს კითხულობენ, დახმარებას გვთავაზობენ. ამბობენ ხოლმე, „ნახეთ, რა ქნეს ამ ქალებმაო“. ეს ხომ სხვა ქალებისთვისაც კარგი მაგალითია?“

სამომავლოდ მწვანე ჩაის დანადგარის ყიდვა და პროდუქციის კიდევ უფრო გამრავალფეროვნება მსურს. მრავალწლიანი გამოცდილება მკარნახობს, რომ ნამდვილად შემიძლია, ქართული ჩაის სივრცეში საკუთარი სიტყვა ვთქვა და იქნებ მერე ჩემი ძველი ფაბრიკა, რომელიც ავადმყოფობის გამო გავაჩერე, კვლავაც ავამუშაო.

> „შემიძლია, ქართული ჩაის სივრცეში საკუთარი სიტყვა ვთქვა“

„ქართულ მეღვინეობაში ექსპერიმენტებზე უმეტესად ქალები მიდიან. აქტიურობის ის პროცესი, რომელიც ამ სფეროში მათ წამოიწყეს, სიახლეების ერთგვარი აფეთქებაა“.

ქეთო ნინიძე

36 წლის, სამეგრელო, მარტვილი, საოჯახო მარანი „ოდა“, თანადამფუძნებელი

ოჯახში ფილოლოგიის ტრადიცია გვაქვს, ბებია და დედა ფილოლოგები არიან, მეც ამ პროფესიას გავყევი. ღვინოს ჩემი ცხოვრება მოულოდნელად დაუკავშირდა. ამ თემაზე წერა და ღვინის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელობა შემომთავაზეს. დავთანხმდი და ძალიან მალე ისე დავინტერესდი, რომ ახალ სფეროში მთელი არსებით გადავეშვი.

საკუთარი ღვინის დაწურვა მეუღლემ შემომთავაზა, მატერიალურად კი დედა დამეხმარა. მისი მოცემული თანხით უჟანგავი ჭურჭელი და ოჯალეშის ჯიშის ყურძენი შევიძინე, ღვინო კი სრულიად განსხვავებულად, ჭაჭის გარეშე დავაყენე.

ეს იყო ექსპერიმენტი, რომლისაც ბევრს არ სჯეროდა. მეუბნებოდნენ, ჭაჭის გარეშე თეთრი ოჯალეში როგორ გამოვაო და ძალიან სკეპტიკურადაც მიყურებდნენ. მეორე აჟიოტაჟი ღვინის ეტიკეტის ჩემეულ იდეას მოჰყვა. მინდოდა, მასზე მკაფიო ფემინისტური გზავნილი ყოფილიყო და ქვეყანაში ფემიციდის გახშირებულ შემთხვევებს დიზაინით გამოვხმაურებოდი. ბევრი მირჩევდა, მძიმე თემაზე უარი მეთქვა, რადგან ის გაყიდვებს ხელს შეუშლიდა, თუმცა გადაწყვეტილება არ შევცვალე.

ჩემი პირველი ღვინის, „შიშველი ოჯალეშის“ ეტიკეტზე ორი ქალი გამოვსახეთ: ერთი მათგანი ვენახში იდგა, თავს ჰარმონიულად და ლაღად გრძნობდა, მეორე კი ჭიქაში იყო გამომწყვდეული და იმ ქალებს ასახავდა, რომელთა სადღეგრძელოსაც საქართველოში ხშირად სვამენ, მაგრამ ამავდროულად ამცირებენ, შეურაცხყოფას აყენებენ, კლავენ. საბოლოოდ, ეს ეტიკეტი ჩემი მეღვინეობის სიმბოლოდ იქცა.

2016 წელს დიდი სურვილი - დედაქალაქის ხმაურისგან შორს გვეცხოვრა - ავისრულეთ და მე და ჩემი მეუღლე, ჩვენს ორ გოგოსთან ერთად, მარტვილში გადავედით. მარანი გავაკეთეთ და ღვინის ტურიზმიც წამოვიწყეთ. წყვილის ამბავმა, რომელიც თბილისიდან რეგიონში გადასახლდა, პოპულარობა მოგვიტანა. უამრავი ადამიანი გვეწვია და ჩვენი მარნის წარმატებაში საკუთარი წვლილი შეიტანა.

ახლა ძირითადად რაჭულ ძელშავს, მეგრულ და ლეჩხუმურ ოჯალეშს ვწურავ. ყველა წითელი ჯიშია, თუმცა ზოგისგან ვარდისფერ ღვინოს ვამზადებ. ექსპერიმენტები ძალიან მიყვარს. სულ ჯამში 3000 ბოთლს ვაწარმოებ. ყველა მათგანი მთლიანად ორგანულია და საქართველოს გარდა, აშშ-ში, გერმანიაში, შვედეთში, დანიაში, ისრაელში, იაპონიასა და ავსტრალიაში იყიდება.

ყურძენს ჯერჯერობით ვყიდულობ. საკუთარი ვენახი სამი წლის წინ გავაშენე და პირველ მოსავალს ახლა ველოდები. შარშან მივიწყებული ჯიშების აღდგენაც დავიწყე, ეს ჩემი საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ინოვაციური ხაზია. გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტით კი ბიზნესს კიდევ უფრო განვავითარებ და სრულიად განსხვავებულ მიმართულებას მოვიცავ.

ინიციატივის შესახებ საქართველოს ფერმერთა ასოციაციისგან გავიგე და მასში მონაწილეობით საინტერესო გამოცდილებაც მივიღე. განსაკუთრებით შთამბეჭდავი დანარჩენი ქალების ნაამბობის მოსმენა იყო — როგორ ჰყვებოდნენ ისინი საკუთარ გამოწვევებზე, სიამაყის განცდაზე, რომ მათთან გამკლავება მაინც შეძლეს.

მერე კი ჩემმა წარდგენილმა ბიზნესიდეამ პროექტის გრანტიც მიიღო. ამ თანხით არყის სახდელი შევიძინე, რომელზეც დიდი ხანი ვოცნებობდი. უკვე შემიძლია, ჭაჭაც ვაწარმოო და სრულიად ახალი ბრენდი შევქმნა. საქართველოში არყის გამოხდა ყოველთვის კაცთან ასოცირდებოდა, თუმცა ვეცდები, ამ სტერეოტიპის დამსხვრევაში ჩემი წვლილი შევიტანო. ბევრი იდეა მაქვს, ვგრძნობ, ჩემს ცხოვრებაში კიდევ ერთი ექსპერიმენტის დროა.

> ”დარწმუნებული ვარ, რაც უფრო მეტ ქალს ექნება დრო და შესაძლებლობა, რომ ქანცგამწყვეტი რუტინის არტახებიდან გამოვიდეს, რაც უფრო მეტი წარმატებული ქალის ისტორია დაიწერება, ბიზნესგარემო მით უფრო განვითარდება და ქვეყანაში შექმნილი დოვლათიც გაიზრდება.“

სხვათა შორის, ქართულ მეღვინეობაში ექსპერიმენტებზე უმეტესად ქალები მიდიან. აქტიურობის ის პროცესი, რომელიც ამ სფეროში მათ წამოიწყეს, სიახლეების ერთგვარი აფეთქებაა. ისინი არ იმეორებენ ტექნოლოგიას, ეძებენ განსხვავებულ გზებს, შემოაქვთ ინოვაციური ხედვები და სტილისტიკა, რითაც მთლიანად დარგს ავითარებენ. დარწმუნებული ვარ, რაც უფრო მეტ ქალს ექნება დრო და შესაძლებლობა, რომ ქანცგამწყვეტი რუტინის არტახებიდან გამოვიდეს, რაც უფრო მეტი წარმატებული ქალის ისტორია დაიწერება, ბიზნესგარემო მით უფრო განვითარდება და ქვეყანაში შექმნილი დოვლათიც გაიზრდება.



„ჩემ ირგვლივ მყოფ ქალებს გრანტების შესახებ ინფორმაციას სისტემატურად ვაწვდი, ვაკვალიანებ. მიმაჩნია, რომ ინფორმირება ის პირველი ნაბიჯია, რომელიც მათ წარმატებისკენ უნდა გადადგან“.

ირინა ყორშია

33 წლის, სამეგრელო, ზუგდიდი, ხელნაკეთი აქსესუარების სახელოსნო „ირდა“, დამფუძნებელი

მერვე კლასში ვიყავი, როდესაც ფეხსაცმელს ძირი ჩემი ხელით გამოვუცვალე. ახლაც მიკვირს, ეს როგორ შევძელი, მაგრამ ასეთი რამეები მიყვარდა და მეხერხებოდა კიდეც. ბავშვობასა თუ მოზარდობის წლებში სულ ვხატავდი, ვქსოვდი, ვკერავდი და ვქარგავდი. მერე პროფესიადაც იგივე მიმართულება ავირჩიე და მოდელირება-დიზაინის ფაკულტეტი დავამთავრე. სტუდენტობის შემდეგ ხელნაკეთ ნივთებს სახლში ვამზადებდი, რამდენიმე თვე მოდის სახლშიც ვმუშაობდი, ბოლოს კი საკუთარი სახელოსნო „ირდა“ გავხსენი.

პატარა ნაბიჯებით, მაგრამ დიდი მოტივაციით დავიწყე. განსაკუთრებული როლი ჩემი სახელოსნოს მუშაობაში სუტაჟის ფრანგულმა ტექნიკამ შეასრულა. იგი 3 წლის წინ, შემთხვევით, ინტერნეტით აღმოვაჩინე და ვიდეოების დახმარებით, თავად შევისწავლე. ნელ-ნელა საკმაოდ დიდი კოლექცია შევქმენი, კარგი შეფუთვაც მოვუმზადე, მაღაზიებში ჩავაბარე, ფეისბუქზე გვერდი გავაკეთე და გაყიდვებიც გავმართე.

დიდი ხანია, ფონდ „ტასოსთან“ ვთანამშრომლობ. წლებია, სათემო მობილიზაციაში ვმონაწილეობ და თვითდახმარების ჯგუფის წევრიც ვარ. გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის შესახებაც სწორედ მათგან გავიგე და ენთუზიაზმით ჩავერთე. ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში გავლილი ტრენინგები განსაკუთრებით კარგად მახსენდება. სწორედ აქ მიღებული ცოდნა დამეხმარა, საგრანტო განაცხადი სრულყოფილად, გამართულად დამეწერა და დაფინანსებაც მიმეღო. მერე კი ამ თანხით ბიზნესის ახალი მიმართულება შევქმენი. სამკაულებზე მუშაობის პარალელურად, გამოკითხვა მქონდა ჩატარებული და ვიცოდი, რომ ზუგდიდში ტყავის ჩანთებსა და საფულეებზეც იყო მოთხოვნა. ამ ხაზის დამატება ადრევე მინდოდა, მაგრამ შესაბამისი მოწყობილობა არ მქონდა. გაეროს ქალთა ორგანიზაციის გრანტით სწორედ ტყავის საკერავი მანქანა შევიძინე, რომელიც მაღალი ხარისხისა და სირთულის ნაწარმის შექმნის შესაძლებლობას მაძლევს. ტყავის აქსესუარებს ქალებისთვის უკვე ვამზადებ, თუმცა მსურს, ამ მასალისგან ჩანთები, საფულეები, ქამრები თუ სავიზიტო ბარათების ჩასადებები კაცებისთვისაც შევქმნა. დაინტერესება მათი მხრიდანაც არის. ამას გარდა, სოფელ ანაკლიაში მეორე სახელოსნოსაც ვხსნი.

პროექტის დახმარებით, ესპანეთში, ქალაქ ჰიტაში, ხელნაკეთი ნივთების ყოველწლიურ, ტრადიციულ გამოფენა-გაყიდვაში მივიღე მონაწილეობა. ამ ფესტივალის შემდეგ ესპანეთში, ქალაქ ალკალაშიც მიმიწვიეს, სადაც სუტაჟის ტექნიკის მასტერკლასებს ჩავატარებ.

ვფიქრობ, საკუთარი ცხოვრების თავად მართვა ყველა ქალს უნდა შეეძლოს. დღეს ბევრი მათგანი დათრგუნულია. ჰგონია, რომ არაფერი გამოუვა, ან ოჯახში იჩაგრება, ჩაკეტილია და შესაძლებლობების რეალიზებას ვერ ახდენს. ეს კი შემდეგ მათი ოჯახებისა და ბავშვების ცხოვრებაზეც ნეგატიურად აისახება. ქალებს მიზნის მიღწევის დიდი ძალა აქვთ, მაგრამ მათ ამ ძალის გამოყენების შესაძლებლობაც უნდა ჰქონდეთ.

„ქალებს მიზნის მიღწევის დიდი ძალა აქვთ, მაგრამ მათ ამ ძალის გამოყენების შესაძლებლობაც უნდა ჰქონდეთ.“

ქალების მხარდაჭერას თვითონაც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. სუტაჟის სწავლა ჩემთვის გაცილებით მარტივი იქნებოდა, კურსებზე რომ მევლო, ან მასწავლებელი მყოლოდა, ან ამ გზის გავლაში ვინმე დამხმარებოდა, ამიტომ ჩემს ცოდნას სხვა გოგოებსაც ვუზიარებ. სუტაჟი უკვე 10-ზე მეტ გოგოს ვასწავლე და ერთ-ერთი სახელოსნოშიც დავასაქმე. მე და ლანა დღეს კოლეგები ვართ. ვიცი, რომ ზოგიერთი ჩემი ყოფილი მოსწავლე ამ ცოდნას უკვე თავადაც ავრცელებს და ეს ძალიან მახარებს.

ამას გარდა, ჩემ ირგვლივ მყოფ ქალებს გრანტების შესახებ ინფორმაციას სისტემატურად ვაწვდი, ვაკვალიანებ. მიმაჩნია, რომ ინფორმირება ის პირველი ნაბიჯია, რომელიც მათ წარმატებისკენ უნდა გადადგან. ახლა კიდევ ერთი გოგო ტყავის მასალაზე მუშაობაში უნდა გადავამზადო და შემდეგ ისიც ჩემს სახელოსნოში დავასაქმო. მინდა, ერთად ვაკეთოთ ეს ბიზნესი და მიზანს - ქალების გაძლიერებასაც ერთად მივაღწიოთ.



„ძალიან მინდა, საკუთარი საქმე რაც შეიძლება ბევრ ქალს ჰქონდეს. ვისაც ვიცნობ, ვისთანაც ურთიერთობა მიწევს, ყველას ვეუბნები: გამოდით სახლიდან, გააკეთეთ, მე მოგეხმარებით, პროექტს დაგაწერინებთ, ყველაფერს შეძლებთ-მეთქი“.

ნონა კვარაცხელია

55 წლის, სამეგრელო, წალენჯიხა, სოფელი ჭგალი, სამკერვალო სალონი „ნონა“, დამფუძნებელი

ბუღალტრის პროფესია დედის დაჟინებული თხოვნით ავირჩიე. სწავლის დასრულების შემდეგ წარმატებული კარიერა მქონდა, წლების განმავლობაში მთავარ ბუღალტრად ვმუშობდი, მაგრამ ეს საქმე არასდროს მიყვარდა. ჩემი საყვარელი ჰობი კერვა იყო, რომელიც ჯერ კიდევ ბავშვობაში მამიდამ მასწავლა.

როდესაც საბჭოთა კოლმეურნეობები დაიშალა, სამსახური დავკარგე, ყველაფერი ხელიდან გამომეცალა და ოჯახით საცხოვრებლად თბილისში გადავედი, სადაც მე და ჩემმა მეუღლემ მცირე ბიზნესი წამოვიწყეთ. დაახლოებით 8 წლის შემდეგ ისევ სოფელში დავბრუნდით, თუმცა პროფესიით სამსახური ვეღარ ვნახე. სწორედ იმ პერიოდში წალენჯიხაში USAID-ის პროექტი მიმდინარეობდა. ინიციატივაში ჩავერთე და მიღებული გრანტით საკერავი მანქანა შევიძინე. მერე კი ჩემი მეგობარი, რომელსაც კერვა ასევე ძალიან უყვარდა, შემოვიამხანაგე და სამკერვალო გავხსენი.

პირველად თეთრეულით დავიწყე. ძალიან ვღელავდი, არ ვიცოდი, მომხმარებელი როგორ მიმიღებდა, მაგრამ საქმე მართლაც კარგად აეწყო. შეკვეთები ბევრი მქონდა, თანაც, ტანსაცმლის შეკერვაც დავამატე. მალევე სამთავრობო პროექტმა „აწარმოე საქართველოში“ დამაფინანსა. ამ თანხით ორი ახალი საკერავი მანქანა, სამკერვალოსთვის სავარძლები და სარკე ვიყიდე.

ახლა მარტივად ვყვები, მაგრამ თავიდან ძალიან გამიჭირდა. ძროხები მყავდა, ქათმები და ინდაურები, მეურნეობაც მქონდა. შვილები თბილისში ცხოვრობდნენ, ყველაფერს მე და ჩემი ქმარი ვუვლიდით. სამკერვალოსა და სახლის საქმეებს ვეღარ ვუთავსებდი და ამაზე ვნერვიულობდი. ერთხელაც საქართველოს ფერმერთა ასოციაციის დირექტორის, ნინო ზამბახიძის მიერ ნაჩუქარი წიგნი წავიკითხე — შერილ სენდბერგის „იმოქმედე: ქალები, შრომა და ლიდერობის სურვილი“. ახლაც მონიშნული მაქვს ის ადგილი, სადაც საქმეების შეთავსებაზეა საუბარი. მახსოვს, ჩემს ქმარსაც წავუკითხე, მან კი მითხრა: შენ მუშაობ და თუ სახლის საქმეებს ვერ ასწრებ, ნუ ღელავ, მე გავინაწილებო. მართლაც, ყველაფერში გვერდით მიდგას.

საერთოდ აქტიური ადამიანი ვარ, სხვადასხვა ინიციატივაში მონაწილეობაზე უარს არასდროს ვამბობ. გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტმაც ძალიან გამახარა. მიუხედავად იმისა, რომ ტრენინგებზე თბილისში დავდიოდი, ერთიც არ გამიცდენია, ერთხელ არ დამიგვიანია. ამ პროექტით ბევრი საინტერესო ქალი გავიცანი. ახლა ყველანი ფეისბუქით ვაგრძელებთ მეგობრობას, ერთმანეთს ნამუშევრებს ვუზიარებთ ხოლმე და ვამხნევებთ.

> ”
> ბევრი საინტერესო ქალი გავიცანი. ახლა ყველანი ფეისბუქით ვაგრძელებთ მეგობრობას, ერთმანეთს ნამუშევრებს ვუზიარებთ ხოლმე და ვამხნევებთ.
> “

პროექტის გრანტით ტყავის პროფესიული საკერავი მანქანა შევიძინე. საუკეთესოა მათ შორის, რაც კი მქონია. თან პროდუქციის გამრავალფეროვნების საშუალებასაც მაძლევს. რეალიზაცია უკვე იმდენად კარგია, რომ ვხვდები, ეს ოთახი აღარ გვყოფნის, გაფართოებას ვსაჭიროებთ. მართალია, სამნი ვართ, მაგრამ ერთი მკერავის დამატებაც არ იქნებოდა ურიგო. სამომავლოდ ბიზნესსაქმიანობის გამრავალფეროვნებასაც ვგეგმავ: სოფელში სილამაზის სალონი არ არის, ამიტომ აქაურებს წალენჯიხაში გვიწევს წასვლა. ასე რომ, ამ მომსახურებაზე მოთხოვნა მაღალია. ვფიქრობ, თუ სალონი მექნება, იქვე ახლოს კვების ობიექტიც გავხსნა. ნამდვილად მაქვს უნარი და ხალისი, რომ ყველა მათგანს გავუძღვე.

ეს მოტივაცია იმის დამსახურებაა, რომ ამჟამად იმას ვაკეთებ, რაც მიყვარს. ბუღალტრად რომ დავრჩენილიყავი, ასეთი ხალისი არ მექნებოდა, ახლა გაცილებით ბედნიერი ვარ, ვიდრე მაშინ. ადრე დილაობით ძლივს ვდგებოდი ხოლმე. რაც კერვა ჩემთვის მთავარ საქმედ იქცა, უთენია, 6 საათზე ვიღვიძებ, ყველაფერს ვასწრებ, ასე მგონია, სულ ფრენით მოვდივარ ჩემს სამკერვალოში, ახლა სულ სხვა ნონა ვარ.

ძალიან მინდა, საკუთარი საქმე რაც შეიძლება ბევრ ქალს ჰქონდეს. ვისაც ვიცნობ, ვისთანაც ურთიერთობა მიწევს, ყველას ვეუბნები: გამოდით სახლიდან, გააკეთეთ, მე მოგეხმარებით, პროექტს დაგაწერინებთ, ყველაფერს შეძლებთ-მეთქი. სხვათა შორის, ჭრა-კერვის კურსების გახსნაზეც ვფიქრობ და სწორედ იმიტომ, რომ სხვა ქალებსაც დავეხმარო: ვასწავლო და მერე დავასაქმო კიდეც.

„სამომავლოდ მსურს, „მწვანე სახლში“ ფერმერის კუთხე გავაკეთო და აჯიკის გარდა, სტუმრებს ის პროდუქციაც წარვუდგინო, რომლებსაც პროექტის მონაწილე სხვა ქალები და ჩემი მომწოდებლები აწარმოებენ“.

თიკა დიდიშვილი

52 წლის, სამეგრელო, ქალაქი ზუგდიდი, საოჯახო სასტუმრო „მწვანე სახლი“, დამფუძნებელი

ზუგდიდში კომპიუტერულ ცენტრს ვხელმძღვანელობდი, როდესაც სამსახურში უცხოელი სტუმარი გვეწვია და რამდენიმე დღით ჩემთან დარჩა. აქაურობა ძალიან მოეწონა და მირჩია, შენი მასპინძლობა ბიზნესად აქციეო. როგორც ბევრი ქართული ოჯახის, ამ სახლის კარიც სტუმრისთვის ყოველთვის ღია იყო, მაგრამ ოთახების გაქირავება ან სასტუმროს გახსნა ფიქრადაც არასდროს მომსვლია. პროფესიით მცენარეთა დაცვის სპეციალისტი და ინჟინერ-პროგრამისტი ვარ. წლების განმავლობაში ამ მიმართულებებით ვმუშაობდი, თუმცა ნათქვამმა ჩემზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ემიგრაციაში მყოფ მეუღლეს დავურეკე და სურვილი გავუზიარე. ისიც მაშინვე ამყვა.

თავდაპირველად ორი ოთახი გავაქირავე, თუმცა დროსთან ერთად, სტუმრების რაოდენობა ისე გაიზარდა, რომ გაფართოება აუცილებელი გახდა. სახლს დამატებითი სივრცე მოვაშენე, კომუნიკაციები გავიყვანე, გავმართე და მივხვდი, რომ საყვარელი საქმე ვიპოვე.

რა თქმა უნდა, ბევრ სტერეოტიპთან მომიწია გამკლავება. თავიდან უკვირდათ, ქმარი აქ არ ჰყავს და სახლში უცხოებს როგორ უშვებსო. პირდაპირაც უკითხავთ: გუშინ რომ შენთან კაცი მოვიდა, ვინ იყოო. თუმცა, ეს ყველაფერი ისე გადავლახე, სტერეოტიპებს ჩემს საქმიანობასა და გადაწყვეტილებაზე გავლენა არ მოუხდენია.

ბევრწლიანი გამოცდილების მიუხედავად, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ის ტრენინგები, რომლებიც გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტში ჩართვის შემდეგ გავიარე. სულ მობილიზებული ვიყავი, რომ რამე არ გამომრჩენოდა, დამეჭირა თუნდაც მცირე დეტალი, რომელსაც შემდეგ ბიზნესისთვის გამოვიყენებდი. ზოგჯერ შეხვედრიდან სახლში ვბრუნდებოდი და ჩემს საქმიანობას ნასწავლის მიხედვით, სასწრაფოდ ვაკორექტირებდი.

პროექტის ფარგლებში ტოსკანაში ვიზიტის შემდეგ კი ეს ბიზნესი სულ სხვაგვარად დავინახე. იქ ყოფნა ბევრი რამის ინსპირაციად მექცა: ჩამოსვლისთანავე ძველი ნივთები განვაახლე და ეზოს მიმზიდველ დეკორაციებად ვაქციე, მურაბებისა და კომპოტებისთვის კი სარდაფი მოვაწყვე, სადაც სტუმრებსაც ვმასპინძლობ. თუ ადრე კერძებს სამზარეულოში ჩემთვის, ჩუმად ვამზადებდი, ახლა უკვე ამ პროცესში მათაც ვრთავ. იტალიაში ვნახე, რომ აგროტურიზმში დასაქმებული ყველა მეწარმე საჭირო პროდუქტებს საკუთარ სოფელში იძენს. ჩამოსვლის შემდეგ მეც ყველაფერს ადგილობრივი მომწოდებლებისგან ვყიდულობ, რომელთა შორის ქალებიც არიან. ასე მათ ბიზნესებსაც ვეხმარები.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტით გრანტიც მივიღე. ამ თანხით კონტეინერები შევიძინე, რომლებიც პროდუქტს ტემპერატურას უნარჩუნებს და როდესაც სტუმრად დიდი ჯგუფები მყავს, ხარისხიან გამასპინძლებაში მეხმარება. ვიყიდე ჭურჭლისა და სარეცხის მანქანები, რაც მე და ჩემს პერსონალს შრომას გვიმსუბუქებს და დროს გვიზოგავს. ასევე, კარვები ლაშქრობის მოყვარული სტუმრებისთვის და 2 ველოსიპედი, რომლებიც „მწვანე სახლის“ კონცეფციას ძალიან მოუხდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ პროექტის შემდეგ ჩემი მომსახურების ხარისხი ამაღლდა და კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა. თანაც, ახალი დამხმარე ავიყვანე და უკვე ორი ქალი მყავს დასაქმებული.

სულ ახლახან რეალობად ჩემი კიდევ ერთი სურვილი ვაქციე და ლაბორატორიულად შემოწმებული, ეკოლოგიურად სუფთა „მწვანე აჯიკის“ წარმოებაც დავიწყე. აჯიკას ბებიის რეცეპტით ბევრი წელია ვამზადებ, თუმცა ამჯერად მას ბრენდირება გავუკეთე და წარმატებით ვყიდი. პროექტმა თბილისში სასტუმრო „კრონ პალასსაც“ დამაკავშირა. მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რომ ჩემი აჯიკა მას რეგულარულად მივაწოდო.

სამომავლოდ მსურს, „მწვანე სახლში“ ფერმერის კუთხე გავაკეთო და აჯიკის გარდა, სტუმრებს ის პროდუქციაც წარვუდგინო, რომლებსაც პროექტის მონაწილე სხვა ქალები და ჩემი მომწოდებლები აწარმოებენ. ძალიან მინდა, ეზოში ტრადიციული მეგრული ოდა ჩავდგა და ეს კუთხე იქ განვათავსო. კიდევ ერთი გეგმა ისევ აგროტურიზმს უკავშირდება: ვაპირებ, მიწა შევიძინო და მოცვი გავაშენო. ზოგადად, ჩემთვის ეს სფერო და მისი განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია, ამიტომ გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის ფარგლებში, აგროტურიზმის საკანონმდებლო დონეზე დარეგულირების ადვოკატირებაშიც აქტიურად ვარ ჩართული.

ამ პროექტმა კიდევ ერთხელ დამანახა, რომ ქალებმა საკუთარ თავს, ჩვენს საქმეს მეტი დრო უნდა დავუთმოთ. ასე დროს დაფასებაც მეტია, ოჯახიდანაც კი. ისე მიხარია ხოლმე,

> ”
> მიხარია ხოლმე, როცა ჩემი შვილები მიწონებენ რაღაცას და მეუბნებიან: დე, კარგი ხარ, შენით ვამაყობთ. ეს უდიდეს სტიმულს მაძლევს.
> “

როცა ჩემი შვილები მიწონებენ რაღაცას და მეუბნებიან: დე, კარგი ხარ, შენით ვამაყობთ. ეს უდიდეს სტიმულს მაძლევს.

წლების განმავლობაში ჩემი გამოცდილება მაგალითად უკვე არაერთი ქალისთვის იქცა. ზოგჯერ ხუმრობით იმასაც მეუბნებიან, ღირსი ხარ, კონკურენცია გაგიწიონ იმ ადამიანებმა, რომლებსაც სასტუმროების გახსნაში დაეხმარეო. სინამდვილეში, ბედნიერებაა იმის გააზრება, რომ ქალებმა მომბაძეს და დღეს მათ საკუთარი ბიზნესი აქვთ. ეს ნიშნავს, რომ ჩემთან ერთად ისინიც ადასტურებენ: ქალებს მეწარმეობა მშვენივრად გამოგვდის და რასაც ვიწყებთ, ბოლომდე მიგვყავს.

> ”
> ბედნიერებაა იმის გააზრება, რომ ქალებმა მომბაძეს და დღეს მათ საკუთარი ბიზნესი აქვთ .
> “

„პროდუქტებს, რომლებიც მჭირდება, მხოლოდ ადგილობრივი ქალებისგან ვყიდულობ. მათ ყოველთვის ვეუბნები, თქვენ ოღონდ აწარმოეთ, პროდუქციას მე შევიძენ-მეთქი“.

ლელა ხმელიძე

34 წლის, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, ცაგერი, სოფელი ქორენიში, საოჯახო სასტუმრო „ქორენიშული ვერანდა“, თანადამფუძნებელი

დაახლოებით 4 წლის წინ მე და ჩემმა ძმამ, ლევანმა ბებიისა და ბაბუის მიერ გაშენებული ვენახი გავაფართოვეთ და ცოლიკაურის ჯიშის ყურძნისგან ღვინო ჩამოვასხით. გვინდოდა, ჩვენი სოფლისთვისაც გაგვეწია პოპულარიზაცია, ამიტომ მას სახელად „ქორენიშული“ დავარქვით.

პირველად ღვინო თბილისის ფესტივალზე წარვადგინეთ. „ქორენიშული“ ყველას ძალიან მოეწონა, ბევრმა კი სურვილი გამოთქვა, მისი დეგუსტაციისთვის სოფელშიც გვწვეოდა. ასე დაიწყო ჩვენთან ტურისტების სტუმრობა.

ქორენიშამდე რთული და დამღლელი გზაა. ზოგჯერ ვიზიტორებს შემოაღამდებოდათ ხოლმე, ამიტომ ბევრი ღამის გათენებასაც გვთხოვდა. მათი სურვილიდან გამომდინარე, მე და ლევანმა გადავწყვიტეთ, სახლი, რომელშიც გავიზარდეთ, სასტუმროდ გვექცია და მისი ოჯახური გარემო სხვებისთვისაც გაგვეზიარებინა.

ეს სახლი ბებიამ და ბაბუამ მართლაც საოცარ ადგილას ააშენეს. ვინც ჩვენს აივანზე ერთხელ მაინც ყოფილა და ლეჩხუმის მთების არაჩვეულებრივი ხედები უნახავს, მისი განსაკუთრებულობა ყოველთვის აღუნიშნავს. სასტუმროს სახელზე ფიქრისასაც ეს გაგვახსენდა, ამიტომ მას „ქორენიშული ვერანდა“ დავარქვით.

ოჯახთან ერთად, მოგვიანებით თაფლის წარმოებაც დავიწყე, თუმცა ამ მრავალმხრივი საქმიანობების მიუხედავად, საკუთარ თავზე ხმამაღლა ლაპარაკი, თუნდაც ჩემ მიერ შექმნილის წარმოჩენა მიჭირდა. ლევანი სულ მამხნევებდა და მეუბნებოდა, შენ აკეთებ ამ ყველაფერს და თავადვე წარადგინეო, მაგრამ მაინც ჩრდილში ყოფნა მერჩია. გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის შესახებაც ჩემმა ძმამ შემატყობინა, მითხრა, შენ ამას შეძლებო და მართალიც აღმოჩნდა.

ტრენინგების გავლის შემდეგ პროექტის გრანტი მოვიგე. ამ თანხით ოთახებისთვის საწოლები და ელექტროღუმელები ვიყიდე. „ქორენიშულ ვერანდას“ ზამთარში ბევრი სტუმრობს. ეს შენაძენი კი მეხმარება, მათ კომფორტული პირობები შევთავაზო და შემოსავალი ყველა სეზონზე მქონდეს. ახლა 15-მდე ტურისტის მიღება შემიძლია, თუმცა ვიზიტორების მოთხოვნა იმდენად დიდია, რომ უკვე ახალ სახლსაც ვაშენებ.

პროდუქტებს, რომლებიც მჭირდება, მხოლოდ ადგილობრივი ქალებისგან ვყიდულობ. მათ ყოველთვის ვეუბნები, თქვენ ოღონდ აწარმოეთ, პროდუქციას მე შევიძენ-მეთქი. ტურისტი რომც არ მომივიდეს, ასეც მოვიქცევი, რადგან ამ ქალებმა სტიმული არ უნდა დაკარგონ.

ახლა ვიზიტორებს ღამის გათენების გარდა, ცხენით გასეირნებას, ჯომარდობას, ხვამლის მთაზე ტურებს, ღვინის დეგუსტაციასა და კულინარიულ მასტერკლასებსაც ვთავაზობ. პროექტის ფარგლებში, ტერაბანკმა და სარეკლამო კომპანია „ვინდფორსმა“ სასტუმროსთვის ლოგო და ბრენდის კონცეფცია შემიქმნეს, რაც ვფიქრობ, სამომავლო წარმატებაში კიდევ უფრო დამეხმარება.

ამ პროექტში მონაწილეობამ ყველაზე მთავარი, თავდაჯერება მომცა. მიუხედავად იმისა, რომ საოჯახო სასტუმროს რეალურად ვმართავდი, მაინც მაწუხებდა სტერეოტიპი, რომ ეს ქალის საქმე არ იყო. როცა სასწავლო ვიზიტით ტოსკანაში წავედი, ვნახე, რომ ქალები უზარამაზარ ბიზნესებს უძღვებოდნენ და ჩანდნენ კიდეც. სწორედ იქ მივხვდი, რომ ჩვენც შეგვიძლია მთავარ როლში ყოფნა და ეს რთული საერთოდ არ არის.

ტოსკანიდან სრულიად სხვა ადამიანი ჩამოვედი. მივხვდი, რომ საქართველოში ქალები ხშირად მეტს აკეთებენ, მაგრამ მაინც კაცები ჩანან. თუ მანამდე მეც კულისებში ყოფნა მერჩია, გავაცნობიერე, რომ თურმე სცენაზე დგომაც შემიძლია და უნდა დავდგე კიდეც. დაბრუნების შემდეგ გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება დავიწყე და საკუთარი კოოპერატივი „ერთობა“ დავაარსე. ამ სახელწოდებით უკვე 2 ტონამდე თაფლს ვაწარმოებ. ამას გარდა, ქუთაისში საოჯახო სასტუმროს გახსნაც მსურს, რომელიც ჩემი ახალი ბიზნესი იქნება. ეს პროექტი რომ არა, ამ ნაბიჯებს არ გადავდგამდი. დღეს უკვე სხვა ქალებსაც ვურჩევ, აუცილებლად გამოვიდნენ კულისებიდან. რა თქმა უნდა, იქაც ბევრი საქმეა, მაგრამ ჩვენ სცენაზე ყოფნაც დავიმსახურეთ.

> ”საქართველოში ქალები ხშირად მეტს აკეთებენ, მაგრამ მაინც კაცები ჩანან. თუ მანამდე მეც კულისებში ყოფნა მერჩია, გავაცნობიერე, რომ თურმე სცენაზე დგომაც შემიძლია და უნდა დავდგე კიდეც.“

„ძალიან დამეხმარა ტრენინგები და ტოსკანაში სასწავლო ვიზიტით მიღებული გამოცდილება. სწორედ იქ ვნახე, თუ როგორ შემეძლო სხვა ლეჩხუმელი ქალების გაძლიერება. ცაგერში დაბრუნების შემდეგ ადგილობრივი ფერმერები მოვძებნე და დღეს სურსათს, რომელიც სასტუმროსთვის მჭირდება, სწორედ მათგან ვყიდულობ“.

ნატო სილაგაძე

50 წლის, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, ცაგერი, საოჯახო სასტუმრო „ხვამლი 2002“, დამფუძნებელი

პროფესიით ეკონომისტი ვარ. წლების განმავლობაში მაღალ პოზიციებზე ვმუშაობდი და დედაქალაქიდან თუ სხვა კუთხეებიდან ჩამოსული სტუმრების მიღებაც ხშირად მიწევდა. რადგან ცაგერში ღამის გასათევი არსად იყო, მათ საკუთარ სახლში ვმასპინძლობდი. სასტუმროს გახსნის იდეაც ამ დროს მომივიდა. თავდაპირველად მხოლოდ 2 ოთახის გაქირავებით დავიწყე, თუმცა როცა დავინახე, რომ მოთხოვნა მართლაც არსებობდა, გავფართოვდი და ლეჩხუმში პირველი საოჯახო სასტუმრო „ხვამლი 2002“ გავხსენი.

ამ 12 წლის განმავლობაში უამრავი სირთულე გავიარე. სანამ საკუთარ რეზერვუარს გავაკეთებდი, წყალს ხელით ვეზიდებოდი, დამხმარეც არ მყავდა. ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, მთაში კეთილმოწყობილი სასტუმროს გამართვა თუ კარგი მომსახურების შეთავაზება რთულია და დიდ შრომას მოითხოვს. სულ იმას მეუბნებოდნენ, ამდენს რატომ წვალობ, შენი შვილები, როგორც სხვა ახალგაზრდები, დედაქალაქში წავლენ და აღარ დაბრუნდებიან, ან ლეჩხუმში რომელი უცხოელი ტურისტი ჩამოვაო, მაგრამ მე აქაურობის პოტენციალის ყოველთვის მჯეროდა. თუ გჯერა და მიზანდასახული ხარ, მაინც აკეთებ. ახლა უკვე 11 კეთილმოწყობილი ოთახი მაქვს და ჩემი სასტუმროს შესახებ უამრავმა ადამიანმა იცის.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტმა ჩემთვის ბევრი რამ შეცვალა. საქმეების სხვებზე დელეგირება, გადანაწილება და უკეთ მართვა ვისწავლე. დრო ჩემთვისაც გამოვითავისუფლე და დასასვენებლად წავედი, თანაც, შუა ტურისტულ სეზონზე. მივხვდი, რომ მუშაობასთან ერთად, ესეც მნიშვნელოვანია.

ძალიან დამეხმარა ტრენინგები და ტოსკანაში სასწავლო ვიზიტით მიღებული გამოცდილება. სწორედ იქ ვნახე, თუ როგორ შემეძლო სხვა ლეჩხუმელი ქალების გაძლიერება. ცაგერში დაბრუნების შემდეგ ადგილობრივი ფერმერები მოვძებნე და დღეს სურსათს, რომელიც სასტუმროსთვის მჭირდება, სწორედ მათგან ვყიდულობ, სტუმრებს კი ნატურალური პროდუქტით ვუმასპინძლდები.

ჩემს სასტუმროში 3 ქალი მუშაობს, თუმცა გამოდის, რომ მათ გარდა, ეს 10 ფერმერი ქალიც მყავს დასაქმებული. მაღალმთიანი რეგიონისთვის, რომელსაც მოსახლეობა სისტემატურად ტოვებს, ამ მაგალითის ახალგაზრდა გოგოებისთვის ჩვენება ძალიან მნიშვნელოვანი მგონია. მათ უნდა იგრძნონ, რომ ქალებს ერთმანეთის მხარდაჭერა შეგვიძლია და ამ მხარდაჭერით რეგიონსაც ვაძლიერებთ.

> ”მაღალმთიანი რეგიონისთვის, რომელსაც მოსახლეობა სისტემატურად ტოვებს, ამ მაგალითის ახალგაზრდა გოგოებისთვის ჩვენება ძალიან მნიშვნელოვანი მგონია. მათ უნდა იგრძნონ, რომ ქალებს ერთმანეთის მხარდაჭერა შეგვიძლია და ამ მხარდაჭერით რეგიონსაც ვაძლიერებთ.“

რაღაც შენთვის მისაბაძი უნდა ნახო ადამიანმა, რომ მიხვდე, საით გინდა წასვლა. ჩემთვის ასეთი მაგალითი ტოსკანა აღმოჩნდა. ფერემერი ქალების გაძლიერებასთან ერთად, გასტრონომიული ტურიზმის განვითარება დავიწყე და ამაში პროექტით მიღებული გრანტიც დამეხმარა. სამზარეულოს ტექნიკა შევიძინე და ახლა უკვე შესაძლებლობა მაქვს, სტუმრებისთვის ადგილობრივი კერძების მომზადების მასტერკლასები ჩავატარო. ზოგადად, გასტრონომიული ტურიზმი პერსპექტიულია და მის უფრო მეტად განვითარებას ვგეგმავ. სხვათა შორის, ამ პროექტში მონაწილეობის შემდეგ ტერაბანკმა და სარეკლამო კომპანია „ვინდფორსმა“ სასტუმროს ბრენდინგის მომსახურებით დამასაჩუქრეს.

სამომავლოდ მინდა, გავფართოვდე და საკუთარი მარანიც მქონდეს. წლების წინ კი მეუბნებოდნენ, ტყუილად წვალობო, მაგრამ ახლა უკვე მჯერა, ეს შრომა ფუჭად არ ჩაივლის და ჩემი შვილები ამ საქმეს მეტი წარმატებით გააგრძელებენ.

ყველაზე ძვირფას შენაძენს კი მაინც ის ქალები წარმოადგენენ, რომლებიც პროექტით გავიცანი. ერთმანეთს სულ ვეხმიანებით და საქმითაც ვეხმარებით. აი, მაგალითად, როცა სასტუმროსთვის თეთრეულის შეკერვა დამჭირდა, ქეთი ზივზივაძესა და მის სამკერვალოს მივმართე. ქეთი სწორედ ამ პროექტით გავიცანი. დარწმუნებული ვარ, ეს მეგობრობა და მხარდაჭერა ქალებს მთელი ცხოვრება გაგვყვება. თვითოეული ჩვენგანი ძალიან ბევრს ვშრომობთ და წვლილი, რომელიც ეკონომიკაში შეგვაქვს, ხვალინდელ დღეს აუცილებლად შეცვლის.

> „წმენდაურში ჩამოსვლის შემდეგ აქაური ყოჩაღი ქალები შემოვიკრიბე. ადგილობრივ მთავარობასთან აქტიური თანამშრომლობა დავიწყეთ, რათა აქაურობა ინფრასტრუქტურულად გაიმართოს“.

ნინო კირვალიძე

54 წლის, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, ონი, სოფელი წმენდაური, საოჯახო სასტუმრო „ზე ბოლთა“, დამფუძნებელი

თბილისში დავიბადე და გავიზარდე. მეუღლე რაჭველი მყავს და რაჭაში ყოველ ზაფხულს ჩამოვდიოდით ხოლმე. თუმცა, ბოლო წლების განმავლობაში ჩვენი ვიზიტები უფრო გახშირდა, რადგან მოხუცი მამამთილი მარტო ცხოვრობდა და ყურადღებას საჭიროებდა.

ამ აქტიურ მისვლა-მოსვლაში აღმოვაჩინე, რომ რაჭაში ჯანმრთელობის პრობლემები აღარ მაწუხებდა და, საერთოდაც, აქ თავს შესანიშნავად ვგრძნობდი. პირველი მიზეზი, რის გამოც წმენდაურში საცხოვრებლად გადმოსვლა გადავწყვიტე, სწორედ ეს იყო. მერე კი უკვე ისეთი საქმის წამოწყებაზეც დავფიქრდი, რომელიც საკუთარი თავის რეალიზებაში დამეხმარებოდა.

> დედაქალაქიდან რეგიონში წასვლის სურვილი რომ ნამდვილად მქონდა, არც აქაურებს სჯეროდათ და არც — თბილისელებს. ეგონათ, ერთ დღესაც აუცილებლად მომბეზრდებოდა და ისევ თბილისში დავბრუნდებოდი, თუმცა დრო გავიდა და მე ისევ აქ ვარ.

დედაქალაქიდან რეგიონში წასვლის სურვილი რომ ნამდვილად მქონდა, არც აქაურებს სჯეროდათ და არც — თბილისელებს. ეგონათ, ერთ დღესაც აუცილებლად მომბეზრდებოდა და ისევ თბილისში დავბრუნდებოდი, თუმცა დრო გავიდა და მე ისევ აქ ვარ. ამაში კი დიდი წვლილი გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტს მიუძღვის.

ქალების ეკონომიკური გაძლიერების ინიციატივის შესახებ საქართველოს ფერმერთა ასოციაციისგან შევიტყვე. მაშინვე ვიფიქრე, რომ ჩვენს პატარა სახლში საოჯახო სასტუმრო გამეხსნა და პროექტშიც ამ იდეით ჩავერთე. ძალიან მალე კი აღმოვაჩინე, რომ მართლაც მომავლის საქმეს შევეჭიდე.

როცა ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ტრენინგები გავიარე, მივხვდი, რომ ბიზნესი გარკვეული მოქმედებებისგან შემდგარი მწყობრი სისტემაა, რომლებსაც თუ სწორად შეასრულებ, შედეგებსაც მიიღებ. ტრენერებმა ამიხსნეს, რაზე უნდა გამემახვილებინა სამომავლოდ ყურადღება, რაში დამჭირდებოდა დახმარება, რამხელა მნიშვნელობა აქვს სწორად მიწოდებულ პროდუქტს, კომუნიკაციასა და მომსახურებას.

მერე პროექტის გრანტიც მივიღე და სამზარეულო შევიძინე. საოჯახო სასტუმროსთვის ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. სტუმრებს ადგილობრივი კერძების გასინჯვა უყვართ, ამიტომ საჭიროა, მათ სათანადო სივრცე დახვდეთ. ახლა „ზე ბოლთაში“ არა მარტო ტურისტების გამასპინძლებისთვის, არამედ კულინარიული მასტერკლასების ჩასატარებლადაც ყველა საჭირო ტექნიკა გვაქვს. ეს კი გასტრონომიული ტურიზმის განვითარებაში მეხმარება.

გასტრონომიული ტურიზმით ტოსკანაში სასწავლო ვიზიტის დროს დავინტერესდი. სწორედ იქ გვითხრეს, რომ ტურისტების უმეტესობა ადგილობრივ ღირსშესანიშნაობებზე მეტად სამზარეულოთი ინტერესდება და ამ მიმართულებას უდიდესი პერსპექტივა აქვს. ეს ყველაფერი რაჭასთან დავაკავშირე და მისი პოტენციალი კიდევ უფრო ცხადად დავინახე. მივხვდი, რომ შეგვიძლია, შესანიშნავი კულინარიული მასტერკლასები ჩავატაროთ, სტუმრებს არაჩვეულებრივი ღვინო გავასინჯოთ, ფოლკლორი გავაცნოთ, მერე კი სამთო ტურიზმიც შევთავაზოთ. სხვათა შორის, სოფელი წმენდაური წლების წინ კურორტი იყო და აქ ტურისტული ბაზაც მდებარეობდა. სამწუხაროდ, დროთა განმავლობაში ყველაფერი განადგურდა და წარსულიც დავიწყებას მიეცა. ტოსკანაში ყოფნისას სოფლისთვის ძველი სტატუსის დაბრუნება და მისი ხელახალი განვითარება გადავწყვიტე.

წმენდაურში ჩამოსვლის შემდეგ აქაური ყოჩაღი ქალები შემოვიკრიბე. ადგილობრივ მთავარობასთან აქტიური თანამშრომლობა დავიწყეთ, რათა აქაურობა ინფრასტრუქტურულად გაიმართოს. ჩვენთანაც და მიმდებარე სოფლებშიც ახალგაზრდებს მთა ჯერ კიდევ არ მიუტოვებიათ. თუ ისინი ხელშეწყობას, დახმარებას დაინახავენ, არსად წავლენ, რეგიონში დარჩებიან და სურსათის წარმოებას დაიწყებენ. ადგილობრივი პროდუქტები კი გასტრონომიული ტურიზმის განვითარებისთვის აუცილებელია.

ამჟამად „ზე ბოლთას“ 10 სტუმრის მიღება შეუძლია. პარალელურად, შეხვედრების ოთახსაც ვაკეთებ, ინტერნეტისთვის ცალკე სივრცე და სასადილო მექნება. სამომავლოდ საოჯახო სასტუმროს გარდა, ეზოში კოტეჯების ჩადგმასაც ვგეგმავ. ამ პროექტში მონაწილეობის შემდეგ ტერაბანკმა და სარეკლამო სააგენტო „ვინდფორსმა“ „ზე ბოლთას“ ბრენდინგის მომსახურებით დამასაჩუქრეს, ეს ბიზნესის განვითარებაში კიდევ უფრო დამეხმარება.

ვვარაუდობ, რომ დაახლოებით 2 წელიწადში რაჭის პოტენციალი მეტად თვალსაჩინო გახდება. გაიმარჯვებენ ისინი, ვინც ამ დროისთვის უკვე მომზადებულები იქნებიან

> დაახლოებით 2 წელიწადში რაჭის პოტენციალი მეტად თვალსაჩინო გახდება. გაიმარჯვებენ ისინი, ვინც ამ დროისთვის უკვე მომზადებულები იქნებიან და იმედი მაქვს, მათ შორის მეც მოვხვდები.

და იმედი მაქვს, მათ შორის მეც მოვხვდები. ვიცი, რომ პროექტმა ჩემში უზარმაზარი რესურსი ჩადო, ამიტომ ვეცდები, ეს ნდობა გავამართლო და გაკეთებული საქმით ყველაფერი, რაც ვისწავლე, სხვებსაც ვუამბო.

„ცოდნას, რომელიც ფინანსთა სამინიტროს აკადემიაში მივიღე, სხვა ქალებს სიამოვნებით ვუზიარებ, განსაკუთრებით აქტიურად მათ ბიზნესგეგმის დაწერაში ვეხმარები ხოლმე“.

ეკატერინე ციხისელი

43 წლის, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, ონი, სოფელი ღარი, თაფლის მწარმოებელი

უმაღლესი განათლების მიღება ძალიან მინდოდა, მაგრამ 17 წლის დავქორწინდი, ბავშვები მალევე მეყოლა და დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ 3 შვილის აღზრდით ვიყავი დაკავებული. ჩემ ირგვლივ ფუტკარი ბევრს ჰყავდა. როცა ამ საქმით მეც დავინტერესდი, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის პროექტში ჩავერთე და მეფუტკრეობის შესახებ კურსი გავიარე. მისი დასრულების შემდეგ ორი ძირი ფუტკარი მაჩუქეს კიდეც. სამწუხაროდ, ერთი მთლიანად გამინადგურდა, ამიტომ დარჩენილს განსაკუთრებით ვუვლიდი. მინდოდა, თაფლის წარმოება ბიზნესად მექცია.

ცოდნის გაღრმავებაზე სულ ვფიქრობდი, ამიტომ მეფუტკრეობის შესახებ ტრენინგები არასამთავრობო ორგანიზაცია „აფხაზინტერკონტში“ კიდევ გავიარე, მეფუტკრე-ტრენერის სერტიფიკატი ავიღე და ფუტკრის გამრავლება დავიწყე. მერე ბიზნესგეგმის წერისა და აგროტურიზმის კურსებსაც დავესწარი, უფრო აქტიური გავხდი და ადგილობრივმა ქალებმა ფონდ „ტასოს“ სათემო მუშაკად ამირჩიეს.

სწავლა ძალიან მიყვარს, ამიტომ გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტშიც სიამოვნებით ჩავერთე. ტრენინგებზე ბათუმში დავდიოდი, 2 ტრანსპორტის გამოცვლა მიწევდა, მარტივი არ იყო, მაგრამ მიხაროდა, რომ ახალ ცოდნას ვიღებდი.

”
პროექტმა თავდაჯერებულობა მომიმატა, საქმის გადანაწილება, ჩემი ნაწარმის წარდგენა, პრეზენტაბელურობა მასწავლა.
“

პროექტმა თავდაჯერებულობა მომიმატა, საქმის გადანაწილება, ჩემი ნაწარმის წარდგენა, პრეზენტაბელურობა მასწავლა. ტრენინგებზე მიღებული ცოდნა და რჩევები საგრანტო განაცხადის წერისასაც ძალიან გამომადგა. საბოლოოდ, დავფინანსდი კიდეც.

ჩვენს სოფელში თანამედროვე ციბრუტი, რომელიც თაფლის წარმოებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, არ არსებობდა. ერთი ცალი გვქონდა, უკვე მოძველებული და მასაც 30 მეფუტკრე რიგ-რიგობით ვიყენებდით, ერთმანეთს ველოდებოდით. პროექტის გრანტით სწორედ ახალი და უჟანგავი ციბრუტი შევიძინე. იგი მეხმარება, მაღალი ხარისხის, ეკოლოგიურად სუფთა თაფლი უფრო სწრაფად ვაწარმოო. თანაც, ამ ციბრუტს სხვა მეფუტკრეებზეც ვაქირავებ. ამდენად, შრომას მათაც ვუმსუბუქებ, მე კი შემოსავლის დამატებითი წყარო მაქვს.

ახლა სულ 24 ძირი ფუტკარი მყავს. საშუალოდ ერთი ძირიდან 20 კილო თაფლს ვიღებ, რომელსაც აქვე ვყიდი. რეალიზების პრობლემა არ მაქვს, ყველამ იცის, რომ ჩემი ნაწარმი ხარისხიანია. მინდა, მისი ბრენდირებაც გავაკეთო და თაფლის გარდა, ფუტკრის რძეც ვაწარმოო, რომელიც ძალიან საინტერესო და სასარგებლო პროდუქტია. სამომავლოდ აგროტურიზმის განვითარებასაც ვაპირებ. ტურისტებისთვის კოტეჯის მოწყობა მსურს: თაფლს დავაგემოვნებინებ, გავყიდი კიდეც და ამ სივრცეში მეფუტკრეობის მასტერკლასებსაც ჩავატარებ.

ცოდნას, რომელიც ფინანსთა სამინიტროს აკადემიაში მივიღე, სხვა ქალებს სიამოვნებით ვუზიარებ, განსაკუთრებით აქტიურად მათ ბიზნესგეგმის დაწერაში ვეხმარები ხოლმე. „აფხაზინტერკონტის“ მხარდაჭერით, მეფუტკრეობაში ტრენინგებსაც ვატარებ. ხშირად ქალებთან საფუტკრე მეურნეობაშიც მივდივარ და კონსულტაციებს ადგილზე ვუწევ. მახსოვს, მე რომ ვიწყებდი, რა პრობლემები მქონდა. მინდა, მათ იგივე სირთულეები აღარ გაიარონ და საქმიანობა გაუადვილდეთ.

ქალების ეკონომიკური გაძლიერებისთვის სურვილი და აქტიურობა მნიშვნელოვანია, მაგრამ მათ ხშირად საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები აბრკოლებთ. სამწუხაროდ, კვლავაც ბევრი ფიქრობს, რომ მეწარმეობა ქალის საქმე არაა, ის მხოლოდ სახლში უნდა იყოს და ოჯახს მიხედოს. არადა, როცა ქალი რეალიზებულია და ეს აბედნიერებს, იგივე გრძნობას მთელ ოჯახს გადასცემს. ჩემი 10 წლის სალომე აღფრთოვანებულია ხოლმე, როცა გამოფენებსა და სხვადასხვა ღონისძიებებზე მხედავს. დარწმუნებული ვარ, დედის საქმიანობა მისთვისაც მაგალითი იქნება.

”
სამწუხაროდ, კვლავაც ბევრი ფიქრობს, რომ მეწარმეობა ქალის საქმე არაა, ის მხოლოდ სახლში უნდა იყოს და ოჯახს მიხედოს. არადა, როცა ქალი რეალიზებულია და ეს აბედნიერებს, იგივე გრძნობას მთელ ოჯახს გადასცემს.
“



„ამ პროექტმა ახალი კონტაქტები და შესაძლებლობები მოგვიტანა, ცნობადობის გაზრდაში დაგვეხმარა და საკუთარ ძალებში კიდევ უფრო დაგვარწმუნა“.

მირანდუხტ და თამარ დავითულიანები

26 წლისები, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, ამბროლაური, სოფელი სადმელი, ჰოსტელი „გარემო“, დამფუძნებლები

მირანდუხტი: როცა სკოლაში ვსწავლობდით, ირგვლივ ბევრი ჩვენი თანატოლი ოცნებობდა, რომ რაჭიდან საცხოვრებლად თბილისში წასულიყო. ახალგაზრდები, რომლებიც სასწავლებლად დედაქალაქში მიდიოდნენ, უკან აღარ ბრუნდებოდნენ. ეს დამოკიდებულება მე და ჩემს დას ძალიან გვწყინდა, ამიტომ ერთმანეთს ვეუბნებოდით, რომ ჩვენც ვისწავლიდით, მაგრამ შემდეგ აუცილებლად ისევ რაჭაში ჩამოვიდოდით.

სკოლის დამთავრების შემდეგ მე სოციოლოგიის ფაკულტეტზე ჩავაბარე, თამარმა — არქიტექტურისა და დიზაინის. სტუდენტობის დროსვე ვიფიქრეთ, რომ მიწა და ძველი სახლი, რომელიც სოფელ სადმელში მამას ჰქონდა, ჰოსტელის ასაშენებლად გამოგვეყენებინა და ჩვენი დიდი ხნის ოცნება აგვეხდინა.

თამარი: როცა ბაკალავრიატი დავამთავრეთ, მე უკვე საქმრო მყავდა. ვაკო თბილისში ცხოვრობდა და მუშაობდა, თუმცა, ბუნებრივია, ჩვენთან ერთად რაჭაში წამოვიდა, სადაც ვიქორწინეთ კიდეც. მოკლედ, მიზანი იყო, მაგრამ ფინანსები — არა, ამიტომ საავადმყოფოს მიმღებში ვმუშაობდი, თან სამკაულებს ვამზადებდი, ვყიდდით და ფულს ვაგროვებდით. გვჯეროდა, რომ აქაურობას დიდი პოტენციალი ჰქონდა, მაგრამ იმასაც ვხვდებოდით, რომ ბევრი ენერგია უნდა ჩაგვედო და შრომა არ დაგვზარებოდა. რესურსს ეს ადგილი მართლაც მოითხოვდა: სახლი — განადგურებული, ეზო კი სრულიად მოუვლელი და იმხელა ეკალბარდებით სავსე იყო, რომ ელემენტარულად ფეხის შემოდგმისთვის თოვლის საწმენდი ტრაქტორის მოყვანა დაგვჭირდა.

სწორედ იმ პერიოდში სამთავრობო პროექტი „აწარმოე საქართველოში“ დაიწყო. განაცხადი შევავსეთ და გავიმარჯვეთ კიდეც. თუმცა, მიღებული გრანტით მხოლოდ ავეჯისა და ინვენტარის ყიდვა შეგვეძლო, ამიტომ სარემონტო სამუშაოებისთვის სესხი ავიღეთ. სამწუხაროდ, ეს თანხაც მხოლოდ სამშენებლო მასალებზე გვეყო, ხელოსნები ვერ დავიქირავეთ და გადავწყვიტეთ, ყველაფერი ჩვენი ხელით გაგვეკეთებინა. ზუსტად მაშინ გავიგე, რომ ორსულად ვიყავი, ამიტომ თავიდან ბოლომდე ჰოსტელი მირანდუხტმა და ჩემმა ქმარმა გამართეს.

მირანდუხტი: პირველი სტუმრები 2017 წლის მაისში მივიღეთ და პარალელურად, ინფორმაცია ონლაინპლატფორმებზეც განვათავსეთ. ძალიან მალე ტურისტებმა მთელი ზაფხული დაჯავშნეს. ასეთმა დიდმა მოთხოვნამ და პოზიტიურმა გამოხმაურებამ მეტი მოტივაცია და სტიმული მოგვცა. მივხვდით, რომ ეს სივრცე აღარ გვეყოფოდა და აუცილებლად გაფართოებაზეც უნდა გვეზრუნა. თანდათან ეზო მოვაწყვეთ, აუზი გავმართეთ და ცალკე კოტეჯის მშენებლობაც დავიწყეთ. მერე კი მსურველებს ქორწილებისა და წვეულებების ორგანიზებაც შევთავაზეთ.

სწორედ კოტეჯს ვაშენებდით, როცა დაგვირეკეს და გვითხრეს, რომ გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და საქართველოს ფერმერთა ასოციაციის პროექტში აგვარჩიეს. ეს ჩვენთვის კარგი შანსი აღმოჩნდა. განსაკუთრებით ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ინტენსიური ტრენინგები გამოგვადგა, რომლებმაც ცოდნა ყველა საჭირო თემის შესახებ მოგვცა.

თამარი: პროექტის დახმარებით კიდევ უფრო განვვითარდით. გრანტი მივიღეთ და ამ თანხით თანამედროვე სამზარეულო მოვაწყვეთ. საჭირო ტექნიკა შევიძინეთ და სტუმრებს კვების სერვისი შევთავაზეთ. ეს მათთვის დამატებითი კომფორტი აღმოჩნდა, ჩვენთვის კი — მეტი შემოსავალი, რომელმაც ხელი ფინანსების დაგროვებასა და ახალი მიმართულებების განვითარებაში შეგვიწყო.

ამას გარდა, შესაძლებლობა მოგვეცა, რეგიონსა და მის მოსახლეობასაც დავეხმაროთ. 2 აქაური ქალი მუდმივად გვყავს დასაქმებული, წვეულებების დროს კი კიდევ 2 ქალს ვიმატებთ.

როცა ტოსკანაში სასწავლო ვიზიტით ვიყავით, ვნახეთ, რომ აგროტურიზმში დასაქმებული იქაური მეწარმეები პროდუქტებს ადგილობრივებისგან ყიდულობდნენ. ეს პრაქტიკა ჩვენც დავნერგეთ და სტაბილური შესყიდვებით მოტივაციას უკვე ირგვლივ მცხოვრებ მომწოდებლებსაც ვუმაღლებთ.

მირანდუხტი: რაც მთავარია, ვაჩვენეთ, რომ რეგიონის პოტენციალი რეალურად დიდია. უკვე ბევრმა დაგვირეკა და გვითხრა, რომ რაჭაში

> ”ვაჩვენეთ, რომ რეგიონის პოტენციალი რეალურად დიდია.“

სახლი აქვს, დაბრუნება და სასტუმროს გაკეთება სურს. ზოგიც უშუალოდ გვესტუმრა, ჰოსტელი დაათვალიერა, გამოცდილება გაიზიარა, რადგან უნდა, რომ საკუთარი საქმე სწორედ აქ, რაჭაში დაიწყოს. ეს ძალიან გვაბედნიერებს.

გვახარებს ისიც, რომ ძლიერი ქალები გვქვია. შეხვედრებზე გვიწვევენ, ჩვენს განვითარებაზე ზრუნავენ, ასეთი მხარდაჭერა მოტივაციას გვიასმაგებს. ამ პროექტმა ახალი კონტაქტები და შესაძლებლობები მოგვიტანა, ცნობადობის გაზრდაში დაგვეხმარა და საკუთარ ძალებში კიდევ უფრო დაგვარწმუნა. რაც მთავარია, შეგვძინა საოცარი ადამიანები. მაგალითად, ერთ-ერთი მონაწილე მარიამ ცხოვრებაშვილი, რომელმაც ქორწილისთვის კაბა შემიკერა და უდიდესი სიხარული მაჩუქა.

თამარი: ვფიქრობთ, ჩვენთან ადამიანებს მყუდრო გარემო, განსახვავებული დიზაინი, ნათელი ფერები და გამორჩეული კონცეფცია მოსწონთ, რომელიც მათ პოზიტიურ ასოციაციებს უჩენს. მართლაც, „გარემო“ ის ადგილია, სადაც მოხვალ, დაისვენებ და თავისუფლებას შეიგრძნობ.

ამჟამად 4 ნომერი და 1 კოტეჯი გვაქვს, სულ კი 20 ადამიანს ვმასპინძლობთ, თუმცა განვითარებაზე მუდმივად ვფიქრობთ. გვინდა, მარანი გავმართოთ და ეზოში კაფე გავხსნათ, რომელიც

არა მარტო „გარემოს“ სტუმრებს, არამედ სხვა ტურისტებსაც მოემსახურება. ამასთან, გვსურს, ყურძენი, რომელსაც ჩვენს ვენახში ვკრეფთ, აღარ გავყიდოთ და ღვინო თავად ვაწარმოოთ. რადგან მოთხოვნა დიდია, 2-3 ახალი კოტეჯის დამატებასაც ვაპირებთ.

ქალებს ხშირად გვაგონებენ, რომ კაცების გარეშე არაფერი გამოგვდის. ჩემი 2 წლის გოგო, კესანე, საპირისპირო მაგალითს ხედავს, რაც ძალიან მახარებს. თუნდაც ამიტომაა მნიშვნელოვანი „გარემოს“ განვითარება, რომ ეს ისტორია სხვებისთვისაც სტიმულად იქცეს — ქალებისთვის, რომლებიც წარმატებას ასევე იმსახურებენ.

> ”ქალებს ხშირად გვაგონებენ, რომ კაცების გარეშე არაფერი გამოგვდის. ჩემი 2 წლის გოგო, კესანე, საპირისპირო მაგალითს ხედავს, რაც ძალიან მახარებს.“



„რომ არა ეს პროექტი, მე საკუთარ საქმეს არ დავიწყებდი. ეს იყო ბიძგი, რომელმაც ბიზნესში ჩამრთო და ჩემი ცხოვრება შეცვალა“.

თამარ მიქაუტაძე – ელბაქიძე

60 წლის, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, ამბროლაური, სოფელი წესი, საოჯახო სასტუმრო „პენატი“, დამფუძნებელი

ქუთაისში, სადაც ახლა ვცხოვრობ, 1993 წელს, დევნილობის გამო აღმოვჩნდი. ისე კი, აფხაზეთიდან ვარ. როცა ომის დროს სოხუმის დაბომბვა დაიწყო, ჩემმა მეუღლემ, არჩილ ელბაქიძემ, მე და ორი მცირეწლოვანი შვილი სატვირთო გემზე აგვიყვანა და გამოგვაცილა, თავად კი მშობლიურ ქალაქში დარჩა. იმ ღამეს ჩვენი გემი ჩაძირვას სასწაულებრივად გადაურჩა. გამთენიისას მაშველებმა ფოთის სანაპირომდე ჩამოგვიყვანეს, საიდანაც ქუთაისში, არჩილის მამიდასთან წავედით.

უმძიმესი პერიოდი გადავიტანეთ: მეუღლე სოხუმში იყო, ჩვენ კი — ქუთაისში, სხვა დევნილებთან ერთად ვცხოვრობდით. ერთხელ 10 დღე ისე გავიდა, არჩილის შესახებ არაფერი ვიცოდი, ვერც ტელეფონით ვუკავშირდებოდი, ამიტომ ტყვიების ქვეშ მის მოსაძებნად სოხუმში ჩავედი. მივაგენი, მაგრამ თხოვნის მიუხედავად, თან არ გამომყვა, მშობლიური ქალაქი მან მხოლოდ ბოლო წუთებში დატოვა.

სოხუმში საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო ინსტიტუტი დავამთავრე და იქვე ვმუშაობდი. ომის შემდეგ ამ ინსტიტუტმა ფუნქციონირება ქუთაისში განაგრძო, მეც საქმიანობას ეკოლოგიის კათედრაზე შევუდექი. სამთავრობო სტრუქტურაში მუშაობა დაიწყო არჩილმაც. თუმცა, რამდენიმე წლის შემდეგ, მეგობრებთან ერთად, მან არასამთავრობო ორგანიზაცია ფონდი „აფხაზინტერკონტი“ დააარსა. მის საქმიანობაში მეც ჩავერთე და წლების განმავლობაში მონაწილეობა სხვადასხვა მიმართულებით არაერთ პროექტში მივიღე.

ახლა ძირითადად „აფხაზინტერკონტში“ საზოგადოებასთან ურთიერთიერთობას ვკურირებ და რაჭაში, ამბროლაურის ოფისში ვსაქმიანობ. სამსახურიდან გამომდინარე, საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთანაც მაქვს ხოლმე შეხება. გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის შესახებაც მათგან გავიგე.

ვიფიქრე, მოდი, მოვსინჯავ-მეთქი. თანაც, გამახსენდა ელბაქიძეების 125 წლის საგვარეულო სახლი, რომელიც სოფელ წესში არჩილის ბებიამ და ბაბუამ - ანთიმოზ ელბაქიძემ და მარიამ მხეიძემ ააშენეს, ულამაზესი ტრადიციული ქართული ორნამენტები და აივანი, საიდანაც არაჩვეულებრივი ხედები იშლება. გადავწყვიტე, ეს სახლი საოჯახო სასტუმროდ მექცია. იდეა არჩილსაც ძალიან მოეწონა.

> „გამახსენდა ელბაქიძეების 125 წლის საგვარეულო სახლი, რომელიც სოფელ წესში არჩილის ბებიამ და ბაბუამ – ანთიმოზ ელბაქიძემ და მარიამ მხეიძემ ააშენეს, ულამაზესი ტრადიციული ქართული ორნამენტები და აივანი, საიდანაც არაჩვეულებრივი ხედები იშლება. გადავწყვიტე, ეს სახლი საოჯახო სასტუმროდ მექცია.“

კონცეფციაზე მუშაობისას უკვე ვფიქრობდი, რომ სასტუმროს განსაკუთრებული ნიშა დაეკავებინა და ჩვენი სახლი უბრალოდ ღამის გასათევი ან საქეიფო ადგილი არ ყოფილიყო. მის ნივთებს, კუთხე-კუნჭულებს ტრადიციები და ისტორიები უნდა მოეყოლათ, სტუმრები ძველ დროში გადაეყვანათ და მათთვის დაუვიწყარი შთაბეჭდილებები ეჩუქებინათ. პროექტში ამ იდეით ჩავერთე და როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ბიზნესშიც შევაბიჯე.

რა თქმა უნდა, საქმიანობის დაწყებაში ტოსკანის სასწავლო ტური განსაკუთრებულად დამეხმარა. სწორედ იტალიაში ვნახე, რას ნიშნავს და როგორია სინამდვილეში აგროტურიზმი, რამდენად მაღალია ამ სფეროში მომუშავე ადამიანების შრომისმოყვარეობა და პასუხისმგებლობა საქმის მიმართ, როგორ უნდა სცე პატივი ნივთებს, რომლებიც შენამდე სხვებს ემსახურებოდნენ. ძალიან შთამბეჭდავი იყო ამდენი მეწარმე ქალის ერთად ნახვა, ვიზიტის განმავლობაში მოყოლილი ისტორიები და გაზიარებული გამოცდილება. მონაწილეებმა ერთგვარი მხარდაჭერის ქსელი შევქმენით, რომელიც არსებობას ახლაც აგრძელებს.

მიღებული გრანტით გაზქურა და პურის საცხობი შევიძინე. ჩვენს სახლამდე რთული გზაა, ამიტომ მნიშვნელოვანია, პურის გამოცხობა ადგილზეც იყოს შესაძლებელი. ამავე პროექტით სარეკლამო კომპანია „ვინდფორსმა“ და ტერაბანკმა ბრენდინგიც მაჩუქეს.

ჯერჯერობით სასტუმროს კეთილმოწყობის კუთხით კვლავაც ვმუშაობ, თუმცა კონცეფცია, რომელიც ჩაფიქრებული მქონდა, რეალობად იქცა. სტუმრებს შესაძლებლობა აქვთ, ტრადიციული სიმღერისა და მუსიკის თანხლებით ქართულ ტრადიციებს, სუფრისა და სადღეგრძელოების ისტორიებს გაეცნონ, სახლის ძველი ბინადრების ცხოვრებით იცხროვნონ, ადგილობრივი კერძები თუ ღვინო დააგემოვნონ. სხვათა შორის, ჩვენი სასტუმრო ადგილობრივებისთვისაც სტიმულია: რამდენიმე მათგანი დასაქმებული გვყავს, საჭირო პროდუქტებსაც აქაურებისგან ვყიდულობთ, ანუ პრაქტიკულად ერთად მთლიან ჯაჭვს ვქმნით. სამომავლოდ თონეც უნდა ჩავდგა და ადგილობრივ ქალებს პურისა თუ ლობიანების გამოცხობის მასტერკლასები ჩავატარებინო. ვაპირებ, აღვადგინო მარანიც, რომელიც ამ სახლში სულ იყო და ვენახი, სადაც ყურძნის მივიწყებულ რაჭულ ჯიშებს გავაშენებ.

> „ჩვენი სასტუმრო ადგილობრივებისთვისაც სტიმულია: რამდენიმე მათგანი დასაქმებული გვყავს, საჭირო პროდუქტებსაც აქაურებისგან ვყიდულობთ, ანუ პრაქტიკულად ერთად მთლიან ჯაჭვს ვქმნით.“

რომ არა ეს პროექტი, მე საკუთარ საქმეს არ დავიწყებდი. ეს იყო ბიძგი, რომელმაც ბიზნესში ჩამრთო და ჩემი ცხოვრება შეცვალა.

„დარწმუნებული ვარ, ქალების მონაწილეობა ბიზნესში, თუნდაც კონკრეტულად მეღვინეობაში, მათი მასშტაბური ხედვა, მიზანდასახულობა და მოტივაცია სოციალურ ფონს უკეთესობისკენ შეცვლის“.

ინდირა ჯაფარიძე

43 წლის, აჭარა, ხელვაჩაური, სოფელი ახალშენი, მეღვინე და „ჯაფარიძის მარნის“ თანადამფუძნებელი

20 წლის წინ აჭარაში ღვინის კულტურა პრაქტიკულად არ არსებობდა. რეგიონისთვის ტრადიციულად ციტრუსის მოყვანა იყო დამახასიათებელი და ჩვენი ეზოც მთლიანად მანდარინის ბაღს ეკავა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ეს წარმოუდგენლად მიაჩნდათ, მე და ჩემმა მეუღლემ გადავწყვიტეთ, ციტრუსზე უარი გვეთქვა და მის ნაცვლად პატარა ვენახი გაგვეშენებინა. როდესაც მანდარინის გაჩეხვა დავიწყეთ, ხალხი გაოცდა, ამას როგორ აკეთებთო, თუმცა მაინც გავბედეთ: ჩხავერი დავრგეთ და პირველი მოსავლის მიღების შემდეგ პატარა საკუჭნაოში ღვინის დაყენება დავიწყეთ.

პროფესიით ქიმიკოსი, სურსათის ტექნოლოგი ვარ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მეცნიერ-თანამშრომლისა და ასისტენტ-პროფესორის პოზიციებზე ვმუშაობ. ჩემი მეუღლეც ქიმიკოსია და ბევრი წლის განმავლობაში ღვინის ქარხანაში საქმიანობდა. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენგან კარგი ტანდემი შედგა. მე უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა პრაქტიკაში გამოვიყენე, ის თავისი გამოცდილებით დამეხმარა, ერთმანეთი შევავსეთ, აგურზე აგური დავდეთ და მანდარინის ბაღი „ჯაფარიძის მარნად“ ვაქციეთ.

ღვინისთვის ყურძენს ვყიდულობთ. ძირითადად ოთხ ჯიშს – რქაწითელს, ჩხავერს, ციცქასა და ცოლიკაურს ვწურავთ. სულ დაახლოებით 10 ტონამდე ღვინოს ვამზადებთ. ეზოში მხოლოდ 70 ძირი ჩხავერი გვაქვს, უფრო სადემონსტრაციოდ, სტუმრებისთვის, რომლებსაც ბოლო 5 წელია, ჩვენს მარანში ვმასპინძლობთ და ღვინისა და კულინარიულ ტურიზმს ვთავაზობთ.

ჩემთვის პირველი მხარდაჭერა სამთავრობო პროექტი „აწარმოე საქართველოში“ იყო. იქ მიღებული გრანტით დანადგარები გადავაიარაღე, მერე კი გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტშიც ჩავერთე. ტრენინგები ძალიან მომეწონა: მკაფიოდ გავიაზრე, რა გზას უნდა დავდგომოდი, რომელი მიმართულება მჭირდებოდა და მიზნებიც დავისახე. ეს ჩემთვის ერთგვარი გამონათება და ახალი იდეის ინსპირაცია იყო.

სამწუხაროდ, აჭარაში ქალი მეღვინეები არ არიან. ამ პროექტის შემდეგ ვიფიქრე, რომ ჩხავერი განსხვავებული წესით, ცივი მაცერაციით დავაყენო, ბოთლში ჩამოვასხა და მის ბრენდირებაში მკაფიოდ წარმოვაჩინო, რომ ის ქალი მეღვინის მიერაა წარმოებული. ეს ერთგვარი ექსპერიმენტი იქნება და სახელად „ინდირას ჩხავერი“ ერქმევა. გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის დახმარებით, უკვე ბრენდირებაც მაქვს და ღვინის ბოთლში ჩამოსასხმელი დანადგარიც. ძალიან მინდა, იგი რაც შეიძლება მალე გამოვიდეს. ეს კიდევ უფრო მეტ სიხარულს მომიტანს.

> ამ პროექტის შემდეგ ვიფიქრე, რომ ჩხავერი განსხვავებული წესით, ცივი მაცერაციით დავაყენო, ბოთლში ჩამოვასხა და მის ბრენდირებაში მკაფიოდ წარმოვაჩინო, რომ ის ქალი მეღვინის მიერაა წარმოებული. ეს ერთგვარი ექსპერიმენტი იქნება და სახელად „ინდირას ჩხავერი“ ერქმევა.

ვფიქრობ, რომ ზოგადად ბრენდირება ახალი სარეალიზაციო ადგილების ათვისებასა და შემოსავლების გაზრდაში დამეხმარება, თუმცა სხვა გეგმებიც მაქვს. ერთ-ერთი მათგანი ვაზის ადგილობრივ ჯიშს, საწურავს უკავშირდება. საწურავი გამორჩეული ყურძენია, ამიტომ მინდა, ვცადო და ღვინო მისგანაც დავამზადო. უფრო შორეული პერსპექტივა კი საოჯახო სასტუმროა: სპეციალური ოთახებით, სადაც ღვინის სადეგუსტაციო და სალექციო კურსებს ჩავატარებ, ჩემს ცოდნასა და გამოცდილებას ახალბედა მეღვინეებს გავუზიარებ. აჭარაში ეს საჭიროება რეალურად არსებობს და ვიცი, ლექციები სასარგებლო იქნება.

დარწმუნებული ვარ, ქალების მონაწილეობა ბიზნესში, თუნდაც კონკრეტულად მეღვინეობაში, მათი მასშტაბური ხედვა, მიზანდასახულობა და მოტივაცია სოციალურ ფონს უკეთესობისკენ შეცვლის. შექმნის პოზიტიურ მაგალითებს, რომლებიც სხვებსაც აჩვენებს, რომ იგივე გზის გავლა და წარმატების მიღწევა მათაც შეუძლიათ.

„ჩემი მაგალითი უკვე ბევრისთვის გახდა მისაბაძი. კენკრის გაშენება სხვა ქალებსაც მოუნდათ, ბევრს ნერგები ვაჩუქე კიდეც, რათა სტიმული მიმეცა“.

ნინო გაბრიაძე

36 წლის, აჭარა, ხელვაჩაური, სოფელი ახალშენი, კენკრის მეურნეობისა და „ნინოს მშრალი ხილის“ დამფუძნებელი

დაქორწინების შემდეგ საცხოვრებლად სოფელ ახალშენში გადმოვედი. უკვე 14 წელია, აქ ვცხოვრობ. ქალაქ გორში, სადაც გავიზარდე, მამას ჟოლოს ბაღი აქვს, რომელსაც განსაკუთრებით უვლის. ერთხელაც მშობლების მოსანახულებლად წასულმა ჟოლოს ორი ნერგი გამოვიყოლე. აჭარაში კენკრა თითქმის არავის მოჰყავდა, ამიტომ დავინტერესდი, გამომივიდოდა თუ არა მისი გაშენება. ნერგებმა ძალიან კარგად იხარა, გამრავლდა. აქაურები გაოცებულები იყვნენ, როცა მოდიოდნენ და ამ იშვიათი, ძვირადღირებული ხილით ვუმასპინძლდებოდი.

2 წლის წინ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ აჭარაში კენკრის პოპულარიზაციისთვის პროექტი დაიწყო. იგი მსურველებს შესაძლებლობას აძლევდა, სადემონსტრაციოდ, სრულიად უფასოდ, მაყვალი, გოჯი და ჟოლო გაეშენებინათ. რა თქმა უნდა, ვცადე. დიდი მიწა არ მქონდა, ამიტომ მამამთილის დახმარებით, ხეხილი გავჩეხე, მის ადგილას კენკრა გავაშენე და 2018 წელს პირველი მოსავალიც ავიღე. რადგან აქ ეს ხილი იშვიათია, მასზე მოთხოვნაც მაღალია, ამიტომ რეალიზაცია წარმატებით აეწყო.

თუმცა, თანდათან სირთულეებიც გაჩნდა: ბაღი შემოღობილი არ მქონდა. მისი ინფრასტრუქტურის გამართვას თანხის უქონლობის გამო ვერ ვახერხებდი. ხშირად შინაური ცხოველები ნარგავებს მიფუჭებდნენ, ერთხელ ნერგებიც მომპარეს. ზუსტად ამ დროს გავიგე, რომ აჭარაში გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტი იწყებოდა.

მონაწილეობისგან ჯერ თავი შევიკავე: არ ვიცოდი, 2 ბავშვით თბილისში ტრენინგებზე სიარულს თუ შევძლებდი, მაგრამ საქართველოს ფერმერთა ასოციაციის წარმომადგენელმა ნათია ნინიკელაშვილმა დამარწმუნა, რომ ეს მნიშვნელოვანი შესაძლებლობა იყო და მართალიც აღმოჩნდა. პროექტით გათვალისწინებული ტრენინგების გავლის შემდეგ ჩემმა ბიზნესგეგმამ დაფინანსება მიიღო და ამ თანხით ბაღის შემოღობვა შევძელი. ახლა კენკრა 2020 კვადრატულ მეტრზე მაქვს გაშენებული, 600 კვადრატზე გოჯია, დანარჩენზე კი — ჟოლო. თანაც, ჩემი პროდუქტი ეკოლოგიურად სუფთაა: მას არასდროს ვწამლავ.

მთავარი მაინც ის არის, რომ პროექტმა ცოდნა, ამ ცოდნამ კი თავდაჯერებულობა მომცა. ისეთი შემართებითა და მოტივაციით წამოვედი ტრენინგებიდან, მომინდა, ჩემი საქმიანობა სამაგალითო ბევრისთვის გამხდარიყო. სულ იმაზე ვფიქრობდი, ახალი რა გამეკეთებინა, კიდევ რა მეცადა. ახლა მიწის გარკვეულ ნაწილს ხეხილისგან ისევ ვათავისუფლებ და მასზეც კენკრის გაშენებას ვაპირებ. ცოტა ხნის წინ კი მუშმალისა და მარწყვისგან ჩირის მომზადება დავიწყე.

> ” პროექტმა ცოდნა, ამ ცოდნამ კი თავდაჯერებულობა მომცა. ისეთი შემართებითა და მოტივაციით წამოვედი ტრენინგებიდან, მომინდა, ჩემი საქმიანობა სამაგალითო ბევრისთვის გამხდარიყო. სულ იმაზე ვფიქრობდი, ახალი რა გამეკეთებინა, კიდევ რა მეცადა. “

პროდუქციის ხარისხის სრულყოფაში ინდირა ჯაფარიძე დამეხმარა, რომელიც სურსათის ტექნოლოგი და ამ პროექტის ერთ-ერთი მონაწილეა.

ჩემი ჩირის ბრენდინგი და „ნინოს მშრალი ხილი“ გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და საქართველოს ფერმერთა ასოციაციის მხარდაჭერით, პროექტის ფარგლებში შეიქმნა. ახლა მინდა გოჯი გავაშრო და მანდარინის ჩიფსის გაკეთება ვცადო. თუმცა, კიდევ სხვა გეგმაც მაქვს: ბაღში პატარა ფანჩატურების ჩადგმა და აგროტურისტების გამასპინძლება.

> ” უკვე ნამდვილი ნინო ვარ: ვიპოვე საკუთარი თავი და საქმე, რომელიც ბედნიერებას მანიჭებს. საერთოდაც, მომწონს, რომ ქალები ამ კუთხით გააქტიურდნენ. როცა საკუთარი შემოსავალი გაქვს, ბევრად თავდაჯერებული და დამოუკიდებელი ხდები, დაფასებაც იზრდება, თუნდაც ოჯახიდან. “

ადრე ბიზნესზე არასდროს მიფიქრია, მაგრამ ახლა, ამ პროექტის შემდეგ უკვე ნამდვილი ნინო ვარ: ვიპოვე საკუთარი თავი და საქმე, რომელიც ბედნიერებას მანიჭებს. საერთოდაც, მომწონს, რომ ქალები ამ კუთხით გააქტიურდნენ. როცა საკუთარი შემოსავალი გაქვს, ბევრად თავდაჯერებული და დამოუკიდებელი ხდები, დაფასებაც იზრდება, თუნდაც ოჯახიდან.

ჩემი მაგალითი უკვე ბევრისთვის გახდა მისაბაძი. კენკრის გაშენება სხვა ქალებსაც მოუნდათ, ბევრს ნერგები ვაჩუქე კიდეც, რათა სტიმული მიმეცა. დღეს უკვე ეს ხილი მათაც მოჰყავთ. ვაპირებ, ჩირისთვის კენკრა სწორედ ამ ქალებისგან შევიძინო. იციან, რომ ჩემი იმედი შეუძლიათ ჰქონდეთ: გრანტების შესახებ ინფორმაციასაც ვაწვდი და თუ საჭირო იქნება, უსასყიდლოდ პროექტებსაც დავუწერ. მჯერა, ასეთი მხარდაჭერა ძალიან ღირებულია.

> „ახლა 6 ქალი გვყავს დასაქმებული, თუმცა საწარმოს სრულად ათვისების შემდეგ ვვარაუდობთ, რომ ეს რიცხვი 40-მდე გაიზრდება“.

თამარ შეითნიშვილი

25 წლის, შიდა ქართლი, ვაშლის ჩიფსი „ენკენი“, თანადამფუძნებელი

მე, შაკო მძინარაშვილი და ნონა ნონიაშვილი ერთმანეთს აგრარულ უნივერსიტეტში შევხვდით. ისინი კვების ტექნოლოგიაზე სწავლობდნენ, მე — ბიზნესის ადმინისტრირებაზე. პირველივე კურსიდან დავმეგობრდით და მალე ისიც აღმოვაჩინეთ, რომ სამივეს საკუთარი საქმის დაწყება გვსურდა. ინოვაციური და კონკურენტუნარიანი პროდუქტის შექმნა გვინდოდა, ამიტომ არჩევანი პერსპექტიულ მიმართულებაზე — ჯანსაღ კვებაზე შევაჩერეთ.

თავდაპირველად ბევრი პროდუქტი მოვსინჯეთ. უნივერსიტეტის ლაბორატორიაში ვიკრიბებოდით და ჩვენს იდეებს პრაქტიკაში ვტესტავდით. ერთ-ერთი ასეთი ექსპერიმენტის დროს დაიბადა ვაშლის ჩიფსიც, რომელიც ძალიან მოგვეწონა. ისე დაემთხვა, რომ იმ დროს ინოვაციების კონკურსი „სმარტაპ ჯორჯია“ დაიწყო. გადავწყვიტეთ, მონაწილეობა მიგვეღო და ჟიურისთვის

ჩვენს ინოვაციურ პროდუქტად სწორედ ვაშლის ჩიფსი წარგვედგინა. სასწრაფოდ 100 ლარი შევაგროვეთ, შპს დავარეგისტრირეთ და მცირე მოცულობის დანადგარი საკუთარი ხელით შევქმენით. სამწუხაროდ, იგი ერთდროულად მხოლოდ 4 ცალ ჩიფსს ამზადებდა, ამიტომ პრეზენტაციისთვის საჭირო რაოდენობის პროდუქტის მისაღებად მთელი ღამე გავათენეთ. საბოლოოდ, ჩვენი ვაშლის ჩიფსი „სმარტაპ ჯორჯიას“ გამარჯვებული გახდა. შედეგად, სამივე სასწავლო ტურით ესტონეთში წავედით, მოგებული 5000 ლარი კი ისევ ბიზნესის განვითარებაში ჩავდეთ და უფრო დიდი დანადგარი ავაწყვეთ.

ვაშლის ჩიფსი გამორჩეული პროდუქტი იყო: ერთდროულად ინოვაციურიც და სასარგებლოც. ამ ინოვაციურობას საწარმოო პროცესი, რეჟიმები და მიდგომები განაპირობებდა, რაც ასევე თავიდან ბოლომდე ჩვენ შევქმენით. თუმცა, ამ ყველაფერს განვითარება სჭირდებოდა, ამიტომ საქმიანობის გასაგრძელებლად სამთავრობო პროგრამა „სტარტაპ საქართველოს“ მივმართეთ. მართლაც, 100 000 ლარით დავფინანსდით, ბიზნესგეგმა შევადგინეთ და საწარმოს გახსნისთვის მომზადება დავიწყეთ.

> ვაშლის ჩიფსი გამორჩეული პროდუქტი იყო: ერთდროულად ინოვაციურიც და სასარგებლოც. ამ ინოვაციურობას საწარმოო პროცესი, რეჟიმები და მიდგომები განაპირობებდა, რაც ასევე თავიდან ბოლომდე ჩვენ შევქმენით.

შაკო წარმოშობით დიციდანაა. სოფლიდან, რომელიც შიდა ქართლის რეგიონში, კონფლიქტის ზონასთან ახლოს მდებარეობს. იქ მე და ნონაც ნამყოფები ვიყავით. ვიცოდით, როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები გამყოფ ხაზთან და რა პრობლემები ჰქონდათ მათ. ვიფიქრეთ, ვაშლის ჩიფსის საწარმო სწორედ დიცში აგვეშენებინა, ადგილობრივები დაგვესაქმებინა და იქაური მოსახლეობა ამგვარად გაგვეძლიერებინა. საბოლოოდ, ასეც მოვიქეცით.

> ვიცოდით, როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები გამყოფ ხაზთან და რა პრობლემები ჰქონდათ მათ. ვიფიქრეთ, ვაშლის ჩიფსის საწარმო სწორედ დიცში აგვეშენებინა, ადგილობრივები დაგვესაქმებინა და იქაური მოსახლეობა ამგვარად გაგვეძლიერებინა. საბოლოოდ ასეც მოვიქეცით.

საწარმო უკვე გახსნილი გვქონდა, როცა გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის შესახებ გავიგე. თავდაპირველად არც მეგონა, რომ ასეთი საინტერესო იქნებოდა, თუმცა პირველივე ტრენინგით ძალიან კმაყოფილი დავრჩი. ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში გავლილი კურსი დამეხმარა, ცოდნისთვის თავი მომეყარა და ნასწავლი პრაქტიკაში, უშუალოდ ჩემს საქმეზე გადმომეტანა.

იმ დროს ჩიფსებს მხოლოდ წითელი ვაშლისგან ვამზადებდით, თუმცა მწვანე ჯიშის დამატება და წარმოების გაზრდა ძალიან გვინდოდა, რისთვისაც სპეციალური საჭრელი და საშრობი მოწყობილობები გვჭირდებოდა. პროექტით მიღებულმა გრანტმა მათი შეძენის შესაძლებლობა მოგვცა. მაღალტექნოლოგიური დანადგარები ვიყიდეთ და მწვანე ვაშლის ჯიშისგან ჩიფსის წარმოება დავიწყეთ. მთლიანად პროცესიც მეტად ავტომატიზებული და სწრაფი გავხადეთ. პროექტის ფარგლებში რებრენდინგიც მივიღეთ: უკვე ახალი ლოგო და შეფუთვა გვაქვს, რომელიც მომხმარებელს სწორედ „ენკენისთვის“ დამახასიათებელი ენით ესაუბრება. ამას გარდა, პროექტი დაგვეხმარა, ჩიფსები ცნობილი სუპერმარკეტების ქსელებში შეგვეტანა, „ენკენი“ კი ლიეტუვაში, ქალთა საერთაშორისო ფორუმზე წარგვედგინა.

ამჟამად დღეში დაახლოებით 500 შეკვრა ჩიფსს ვამზადებთ. ვაპირებთ, ბოსტნეულისა და ხილის სხვა სახეობებიც დავამატოთ და მიმართულება - თან ჯანსაღი, თან გემრიელი - არ დავკარგოთ. ექსპორტზე გასვლაც გვინდა და ვფიქრობ, პროდუქციის გამრავალფეროვნება თუ რებრენდინგი ამ კუთხით ძალიან დაგვეხმარება. ახლა 6 ქალი გვყავს დასაქმებული, თუმცა საწარმოს სრულად ათვისების შემდეგ ვვარაუდობთ, რომ ეს რიცხვი 40-მდე გაიზრდება.

კიდევ ერთი გეგმის იდეა ტოსკანაში სასწავლო ვიზიტით ყოფნისას გაჩდა. მომავალში, თუ ვაშლის ბაღები გვექნება, აგროტურიზმსაც განვავითარებთ და ხილის კრეფასა თუ საწაროო პროცესებში ტურისტებს ჩავრთავთ. ეს რეგიონს ძალიან გამოაცოცხლებს. იქნებ მერე სხვა სტარტაპებმაც მოგვბაძონ და გამყოფი ხაზის მიმდებარედ სტაბილურობა გაიზარდოს. თუ ასე მოხდება, მაშინ „ენკენი“ თავის ერთ-ერთ მთავარ მისიას შეასრულებს.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women)
საქართველოს წარმომადგენლობა
კავსაძის ქ. #3, ოფისი 11, 0179
თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 222 06 04
(995 32) 222 08 70

www.georgia.unwomen.org
www.unwomen.org